რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 25 მარტი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ფულის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 69 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 69

რ. ს. დ. მ. პ. საოლქო და თფილისის კომიტეტები მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს, რომ ცხინვალში შეტაკების დროს დაიღუპნენ ამხანაგები:

**სანდრო კეცხოველი, გიორგი მაჩაბელი და კოსტა ყაზიევი.**

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

გორის კომიტეტი რ. ს. დ. მ. პ. და გორის მუშათა დეპუტატთა საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს კომიტ. და საბჭოს წევრების ამხ.

**სანდრო კეცხოველის და გიორგი მაჩაბელის**

ცხინვალში შეტაკების დროს გარდაცვალებას. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

დღეს, 25 მარტს, დღის პირველ საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცი დღის თავი ქართლში ვერაგულად მოკლულის

**ლევან ამირინდოს ძე ციციშვილის**

გარდაცვალებისა, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს დედა მიცვალებულისა ქეთევან სვიმონის ასული ციციშვილისა, მეუღლე ნადეჟდა ილიას ასული და შვილები: მაშო, ტასო, ქეთინო და ამრიკო ციციშვილები. (1—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე საშა, შვილები: სერგია, შალვა, მიშა, პავლე, გიორგი და თამარა, ძმა დიმიტრი, რძალი მარო, და ეკა, დის შვილები: ეპრაქსია და ესე ქლენტები, და ნინა ბაქრაძე, მამიდას შვილი იაგორ გოგიბერიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

**ალექსი ესეს ძე ხუნდაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს ექვს საათზე მიცვალებულის ბინაზე (გაბაევის შესახვევი № 1) დასაფლავება მოხდება კვირას 25 მარტს თფილისში წმინდა ნ. ნოს სასაფლაოზე. მიცვალებულს გამოასვენებენ დღ. 10 საათზე თავის ბინიდან. წირვა და პანაშვიდი დაკრძალვის დღის კოლუბანის ტაძარში. წერილები არავის არ გაეგზავნება. (3—3)

ღრმად დამწუხრებული ქვისლი ლევონ დიმიტრის ძე ქლენტი და მეუღლე მისი ვარვარა მიხაილის ასული ქლენტისა აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს მოქალაქე

**ალექსი ესეს ძე ხუნდაძის**

გარდაცვალებას. (3—3)

ღრმად დამწუხრებული სიდედრი ფატმან ივლიანეს ასული ჭილაძისა, ცოლის დაი ოლია, ცოლის ძმები: ეპიკო და ევტიხი ჭილაძენი, სევერიანე ყენია შვილით მარუსათი აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ საყვარელ სიძის

**ალექსი ესეს ძე ხუნდაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კვირას 25 მარტს, წერილი არავის გაეგზავნება. (3—3)

ღრმად დამწუხრებული მშობლები: მღ. სილიბისტრო და სერმილო ალმასხანის ასული, ძმები: მღ. ეპიფანე, არონ, ამმონ, ანტონ, ძმის შვილები: გიორგი, შალვა, და ნოე ჩხაიძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 18 მარტს თათრებთან ბრძოლის დროს ჯავშნიან მატარებელზე ტრაღიკულად მოკლულ იქმნა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

**პ ე ტ რ ე ჩ ხ ა ი ძ ე.**

მიცვალებულს ჩამოასვენებენ თფილისში, საიდანაც შემდეგ წაასვენებენ სამშობლო გურიაში. (1—1)

გრიგოლ ილიას ძე, ვერა ნიკოლოზის ასული მაღალაშვილები და ვახტანგ, ლუარსაბი და არჩილ თუხარელები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველის საყვარელი დის, მეორეს შულის და დანარჩენების ძვირფას დედის

**ქეთევან ილიას ასული თუხარელის**

გარდაცვალების წ[illegible]ის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია დღეს, 25 მარტს, ვერის წ. ნიკოლოზის ეკლესიაში დილის 11 საათზე.

ღრმათ დამწუხრებული დედა კატო ჩაკვეტაძისა და ოლღა ბესარიონის ასული ჩაკვეტაძე აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს ტრაღიკულათ გარდაცვალებას

**ვერა (ვერიჩკა) ბესარიონის ასული ჩაკვეტაძისას,**

რომელიც მოხდა 20 მარტს. დასაფლავება მოხდება 25 მარტს წმინდა ნინოს სასაფლაოზე, გამოსვენება—პეტროგრადის ქ., № 3, დილის 10 საათზე. წირვა და პანაშვიდი ნიკოლოზის ეკლესიაში. (1—1)

## ორი დიქტატურა

ამიერ-კავკასიის რევოლიუციური დემოკრატიის მოქმედებაში ამ ბოლო დროს ბევრი ხედავს ბალშევიზმის ავანტიურების განმეორებას. ხშირათ ადარებენ ამ [illegible]

[illegible] სიაში ასევე იცნეს სახალხო კომისართა საბჭოები და სოციალიზმის სამეფოს დადგომა მსხვილმა მიწის მფლობელმა ყაზახებმა და ნახევრათ ველურმა ინგუშებმა. როგორ გონია მკითხველს, ეს ხალხი მართლა მომზადებულია სოციალიზმისთვის? რასაკვირველია არა. როგორ გონია მკითხველს, მათ რომ ეს აზრი—ბალშევიკური გარეგნულათ მოახვიეს თავზე, ამით საქმე გაკეთდება? ამით სოციალიზმი მოახლოვდება? რასაკვირველია არა.

მაშ რას ნიშნავს ამ აზრის ძალათ თავზე მოხვევა? ძალმომრეობას, რომელსაც გარეშე ძალმომრეობისა არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ეს ნიშნავს აზრის ჯალათობას, აზრისთვის ხალხის დასჯას. აზრის, იდეის ხიშტით გავრცელებას. ესე იგი თვითმპყრობლური პოლიტიკის წარმოებას. ეს უკანასკნელიც ხომ ასეთ საშუალებით ამაგრებდა ძველი რუსეთის „საფუძვლებს“.

ამიერ-კავკასიის დემოკრატია, რომელიც მუშათა და გლეხთა ცენტრის გარეშემო იყრის თავს, ასეთ მდგომარეობას გაურბის. იგი არავის არ ახვევს თავის აზრს ძალადობით. იგი არ ცდილობს ხიშტით დამორჩილებას აზროვნებისას. პირიქით იგი აზრს, იდეას პატივსცემს და თუ ის არ მოსწონს, იდეური საშუალებით, წესით, პროპაგანდით ებრძვის. იდეას იგი უპირდაპირებს იდეასვე და არა ხიშტს.

ბალშევიკები რაკი ხიშტის თეორიას ალმერთებენ, უმრავლესობა—უმცირესობის პრინციპსაც არ დაგიდევენ. ისინი ბაქოში დიდ უმცირესობას შეადგენენ, თვით მუშათა წრეებშიც. მაგრამ მუშათა საბჭო პირდაპირი და ხმის მიცემით პროპორციონალურ საფუძველზე არჩეული მათ ძალათ დაშალეს. სამაგიეროთ შექმნეს ანტი-დემოკრატიული არჩევნები, რომელსაც მუშების დიდი ნაწილი ვერ დაესწრო, როცა ამითაც უმრავლესობა ვერ მოიპოვეს ნაციონალისტური ჯგუფები მოიმხრეს სომხების, მუსავატელების და ასე გაბატონდენ. ხოლო რაც მუსავატელები ჩამოშორდენ მათ, იარაღით იმორჩილებენ ამ უკანასკნელს. აი ეს არის დიქტატურა უმცირესობის უმრავლესობაზე, რაც შეფერის თვითმპყრობელობას, რაც ეთანხმება ანარქიზმის იდეოლოგიასაც, მარა რაც არსებითად ეწინააღმდეგება ელემანტარულ დემოკრატიზმს. მით უმეტეს მიუღებელია სოციალდემოკრატიისათვის. მათი ძალა აქაც მხოლოდ ხიშტია და არა იდეა.

ამიერ-კავკასიის არა ბალშევიკური დემოკრატიაც აწარმოებს დიქტატურის პოლიტიკას. მაგრამ როცა სხვა გზით იგი ებრძვის უმცირესობას, როცა—ეს უკანასკნელი ურჩობს და ამ ურჩობას იარაღით იცავს. ე. ი. როცა უმცირესობა ცდილობს დემოკრატიის საერთო აზრს იარაღით გაუწიოს წინააღმდეგობა. ეს არის დიქტატურა უმრავლესობისა უმცირესობაზე. არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ ამიერ კავკასიის რევოლიუციონურ დემოკრატიას, ვინმეს დასამორჩილებლათ, ან თავის აზრების თავზე მოსახვევათ იარაღისთვის მიემართოს. იგი ყოველთვის უკანასკნელი იღებს იარაღს ხელში. იარაღით იგი ებრძვის მხოლოდ იმათ, ვინც ამ საშუალებით იწყებს ანარქიის თესვას და [illegible]

[illegible] წონილება გვეუბნება, რომ ხიშტებზე ჯდომა არ შეიძლება, რომ ხიშტი უნდა იცავდეს დემოკრატიის უმრავლესობას, მცირე ჯგუფების თავგასულობისაგან. მარა იგი არ უნდა გახდეს საშუალებათ თვით ამ უმრავლესობის დაჩაგვრის და შევიწროვების. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სასტიკ დამარცხებას ვერ ასცდება და სწორეთ იმ რევოლიუციის მონაპოვარ უფლებებს დაასამარებს, რომელთა დაცვას კისრულობს.

დავასკვნათ: დიქტატურა ბალშევიკების—ესაა ბრძოლა იდეის წინააღმდეგ ხიშტით. ესაა ბრძოლა უმცირესობისა უმრავლესობის წინააღმდეგ (მაგ. ბაქო, როსტოვი). დემოკრატიული დიქტატურა კი მოითხოვს, იარაღით მხოლოდ უმცირესობის წინააღმდეგობა იქნეს დათრგუნვილი, რომ იდეას დავუპირდაპიროთ იდეა, ხოლო ვებრძოლოთ სავსებით პროვოკაციულ გამოსვლებს და პროვოკაციულ მუშაობას.

აი ამას ემსახურება ამიერ-კავკასიის დემოკრატიის დიქტატურა, ამ მიზნით ხელმძღვანელობს მისი შეიარაღებული ძალა—წითელი გვარდია. იგი ერთიანათ დემოკრატიისაგან შესდგება და დემოკრატიის უმრავლესობის ნება-სურვილს ემეამდებარება. ამიტომ ბალშევიკების გზა ანარქისტული და დესპოტიურია, ჩვენი წითელ გვარდიის კი—სოციალ-დემოკრატიული, მარქსისტული.

და ცხოვრება მხოლოდ ამ მეორე გზას გაამართლებს. ისტორიაში ნათელი სახელით და იდეური შარავანდედით მხოლოდ ამ რევოლიუციურ მარქსისტულ მუშაობის მიმდევარნი იქნებიან შეტანილი.

## ოს ინტელიგენტთა საყურადღებოთ

(ცხინვალის ამბების გამო).

ჩვენი წინაგრძნობა ასრულდა. ცხინვალის ამბები ნაციონალისტებმა თავისებურათ გამოიყენეს. ამბობენ ეს ოსეთის აჯანყებააო. ზოგიერთების ფანტაზია ისე შორს წავიდა, რომ ცხინვალის ამბებში ძერგის ოლქის და ადგილობრივ ოსების შეერთებული მოქმედება დაინახეს. ასტეხეს განგაში: ოსებს ცალკე ერთეულის შექმნა სურთ, ბარში ჩამოსვლა განუძრახავს და ქართ[illegible]ების მთაში გარეკვას ცდილობენო.

პირველ რიგში, რასაკვირველია, ჩვენებურ ყოფილ თავად-აზნაურთა დამცველი ორგანოები ჩადგნენ. „საქართველო“, „ვოზროჟდენიე“, „ჩვენი რესპუბლიკა“ ერთმანეთს ეჯიბრებიან შეუმოწმებელ ცნობების გეჭედაში და სენსაციურ აზრების გამოთქმაში.

ყოველი რიგიანი ადამიანი, მით უმეტეს გაზეთი, უნდა ცდილობდეს ამ საერთო არევ-დარევის დროს ქეშმარიტების ძიების გზას არ ასცდეს და არ გაავრცელოს ისეთი ხმები და აზრები, რომელსაც მდგომარეობის გამწვავება შეუძლია. აღნიშნული გაზეთები კი თითქოს განზრახ ხუჭვენ თვალებს სინამდვილეზე და საკუთარი ლვარძლიანი გულის ნადებს სიმართლეთ გვისაღებთ. გაზეთ „საქართველოში“ სწერენ: „ოსები ცხოვრობენ ქართველ ერის მიწა-წყალზე. ბევრს მათგანს 100—120 დესეტინა საუკეთესო მიწა აქვს, უმრავლესობას კი 30—40 დესეტინა. მათ არ მოსწონთ, როდესაც მათ 7—15 დესეტინამდე მეტი მიწის ჩამორთმევას უპირებენ. ამ ნიადაგზეა აღმოცენებული მათი ამბოხება. ჩრდილოეთ კავკასიის ოსების და ბალშევიკების დახმარებით და ხელმძღვანელობით ისინი ქართველ ერს სამკვდრო-სასიცოცხლო ომს უცხადებენ“.

ცხინვალის მოძრაობა დიდს საფრთხეს წარმოადგენს რევოლიუციისთვის და ამიტომ არის, რომ წითელი გვარდია ასე თავ-განწირულათ იბრძვის მის ჩასაქრობათ. კერძოთ ჩვენმა პარტიამ თავისი საუკეთესო წევრები შესწირა მის ლიკვიდაციას. დამნაშავენი უნდა აღმოჩენილი იქნან და სასტიკათ დაისაჯონ. დამნაშავეთა რიცხვში, უექველია, პირველ ადგილს დაიჭერენ ოსი ნაციონალისტები: ისინი ამღვრევენ წყალს, ისინი სთესვენ შურსა და მტრობას ორ მეზობელ ერს შორის. ეს დღეს ცხადია. მაგრამ არა ნაკლების სისასტიკით უნდა იქნან დასჯილნი ჩვენი ნაციონალისტებიც. ისინი ცდილობენ ქართველ ხალხს თვალები აუხვიონ და ძმათა სისხლი დაანთხევინონ. ასე რომ არ იყოს, საიდან გაიგო „საქართველომ“, ვითომ ოსობა სამკვდრო-სასიცოცხლო ომს უცხადებდეს ქართველობას. ჩვენ ვიცით, რომ ნაციონალისტების სალაროში არ მოიპოვება არც ერთი დამამტკიცებელი საბუთი. სამაგიეროთ ისინი ორ დიდ ტყუილს ავრცელებენ. ტყუილია ის, ვითომ გორის მაზრის ოსობა ჩრდილოეთ კავკასიის ოსობასთან შეერთებას და საქართველოს წინააღმდეგ გამოლაშქრებას ცდილობდეს. ოსთა ყრილობამ და საზოგადოთ ოს გლეხობის მოქმედებამ საქმაოთ დაგვიმტკიცა ეს. ტყუილი და საშინელი პროვოკაციაა აგრეთვე ის, ვითომ ოსთაგან ბევრს 100—120 დესეტინა საუკეთესო მიწა ქონდეს, უმრავლესობას კი 30—40 დესეტინა. პირიქით, ოსობის უმრავლესობას სწორეთ უმიწობა ახრჩობს და ამიტომ შეიძლება გასავალი ექნეს ოს ნაციონალისტების მოწოდებას ბარში შესვლისა და იქიდან ქართველების გარეკისადმი. ეს, რასაკვირველია, ფუჭი და მავნე ოცნებაა: არავითარ ძალას არ შეუძლია ბარში მოსახლე ქართველების აყრა, როგორც შეუძლებელია ოსების აყრა და სხვაგან გადასახლება. დემოკრატია შესძლებს ახალი მიწის კანონი ცხოვრებაში გაატაროს და ამ კანონის ძალით განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრები თანასწორათ იქნება დაკმაყოფილებული მიწით მიუხედავათ იმისა ოსი იქნება ის თუ ქართველი, რუსი თუ სომეხი.

ნაციონალისტი ყველგან ნაციონალისტია: ოს ნაციონალისტებს სურთ ცხინვალის რაიონიდან ქართველების გარეკვა, როგორც ქართველი ნაციონალისტები ოცნებობენ საქართველოს საზღვრებიდან ოსების გარეკვას. ისინი ანგარიშს არ უწევენ სინამდვილეს. მაგრამ ხალხი ბრიყვი არ არის. მას აქვს საღი ალღო, ის ინსტიქტით გრძნობს, რომ ნაციონალისტების ავანტიურა დამღუპველია. ამიტომ ჩვენ ეჭვი არ შეგვაქვს იმაში, რომ ოსობა, როგორც ხალხი ცხინვილის არეულობაში მონაწილეობას არ იღებს. აქ, როგორც ვთქვით, მოქმედებენ გახულიგანებული ჯარისკაცები და ოსი ნაციონალისტები. შესაძლებელია ქართველი ნაციონალისტებიც არ აკლებდენ ხელს, მაგრამ ამის შესახებ ჯერ-ჯერობით ცნობები არ მოგვეპოვება.

ასეთ მდგომარეობიდან გამომდინარეობს ჩვენი მოქმედების ხაზი. მთელი ჩვენი პარტიული ძალები უნდა ავამუშაოთ, ყველგან მიტინგები და კრებები უნდა გავმართოთ და ხალხს საქმის მდგომარეობა ავუხსნათ. ამას გარდა ენერგიულათ უნდა შევუდგეთ საჭირო რეფორმების განხორციელებას. ეს არის თავი და თავი და არა რეპრესიები, როგორც ჩვენი ნაციონალისტები ფიქრობენ. რასაკვირველია, ვერც რეპრესიებზე ავიღებთ ხელს, მაგრამ რეპრესიები მიმართული უნდა იყოს არა ხალხის წინააღმდეგ, არამედ საზოგადოების იმ ნაწილების, რომელნიც ცხოვრების არევ-დარევას უწყობენ ხელს. სოფლებში გაფანტულ ჯარისკაცებს დაუყოვნებლივ უნდა ჩამოერთვას იარაღი და დაუყოვნებლივ უნდა მოესწროს ერობა, რომელიც წეს-რიგის დაცვას იკისრებს. უნდა დატყვევებულ და დასჯილ იქნან ის ნაციონალისტები, რომელნიც საქმეს რევენ. ასეთი ზომების მიღება საჭიროა როგორც ოსების, ისე ქართველების სოფლებში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ოსებში მუშაობა გაცილებით უფრო ძნელია, ვინემ ქართულ სოფლებში. ოსეთს თითქმის არა ყავს ინტერნაციონალური ინტელიგენცია, ოსების სოფლებში ყოფილი სტრაჟნიკები და მთავრობის ნამამასახლისრები ითვლებიან პირველ კაცებათ.

ამიტომ საჭიროა ენერგიული მუშაობა აწარმოვოს ინტელიგენტების იმ მცირე ჯგუფმა, რომელიც დღეს არსებობს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სულაც ბრ არის საჭირო სოციალისტობა იმისთვის, რომ ყალბ გზას ავსცდეთ. ოსის ინტელიგენტებმა უნდა შეიგნონ, რომ ოსების და ქართველების დაპირდაპირება საფრთხეს წარმოადგენს ქართველობისთვისაც, მაგრამ ოსობისთვის პირდაპირ დამღუპველი იქნება. ამიტომ მხოლოდ ნასტრაჟნიკლები და აშკარა პროვოკატორები თუ ეცდებიან დღევანდელ პირობებში ოსობაში არეულობის მოხდენას. ყველა შეგნებული და პატიოსანი ოსი ვალდებულია უთხრას ხალხს სიმართლე და ექსცესებში არ ჩააბას ის.

## დემოკრატია და დიქტატურა

(დასასრული).

III.

მართალია, ჩვენს დროში სოციალისტურ რეჟიმზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ რევოლიუციის ხანაში, ასეთ დროს კი მდგომარეობა მეტათ რთულდება. პირველათ ყოვლისა რევოლიუციონურ ხანაში ყოველი პოლიტიკური ბრძოლა არის ბრძოლა ერთი უმცირესობის მეორე უმცირესობის წინააღმდე. მხოლოდ თანდათან გამოირკვევა რომელ მებრძოლ უმცირესობას უჭერს მხარს მასა. ამ უკანასკნელში ხშირათ იმარჯვებს გრძნობა შეგნებაზე. ამიტომ იმ შემთხვევებში, როცა რომელიმე პარტია ძალმომრეობას მიმართავს, ხშირათ ძნელი გამოსარკვევია—არის ეს ძალმომრეობა მიმართული უმრავლესობის წინააღმდეგ, თუ უმცირესობის წინააღმდეგაა აქ ბრძოლა, რომელსაც გაბატონება სურს, ან მისი შერჩენა უნდა.

რევოლიუციონურ პრაქტიკაში ძალმომრეობის ამ ორი მეთოდის გარჩევა ძნელია, მაგრამ თავის შედეგებით ისინი ძლიერ განსხვავდებიან ერთი მეორისაგან. ერთი აუცილებელი იქნება დემოკრატიული რევოლიუციის დასაცავათ, მეორე კი ბოლოს და ბოლოს უთუოდ დაასამარებს რევოლიუციას.

რევოლიუციონურ სოციალისტურ მთავრობას კონფლიქტი მოუვა ხალხის მასასთან ან მიტომ, რომ უკანასკნელი არაა მომზადებული მის შესაფასებლათ, ან მიტომ, რომ ქვეყნის ეკონომიური ბაზისი ძლიერ ჩამორჩენილია და სოციალისტური ხელის გარევა სამეურნეო ცხოვრებაში ხელს კი არ უწყობს მის განვითარებას, არამედ აფერხებს მას და ამგვარათ აძლიერებს სიღარიბეს, რომელსაც სოციალიზმი ებრძვის. ორივე დეფექტი არ სწორდება, არამედ ძლიერდება იმ შემთხვევაში, თუ რევოლიუციონური რეჟიმი ცდილობს ხალხის დემოკრატიულ უფლებათა შეკვეცით ძალით დაიმორჩილოს ოპოზიცია.

ასეთი რეჟიმი აუცილებლათ იმხობა, მაგრამ არა როგორც ძალმომრეობის მსხვერპლი, მოწამის შარავანდედით შემოსილი,—არა, ის იღუპება წყევლა-კრულვით; რადგან მან ძალა-უფლების შესარჩენათ თავის პრინციპს უღალატა, გააძლიერა სიღარიბე, დალუპა ხალხის დემოკრატიული მონაპოვარი. გამარჯვებულ რეაქციას არ სჭირდება ამ უკანასკნელის მოსპობა; რევოლიუციის დასამარცხებლათ ის განაგრძობს იმ მეთოდებს, რომელსაც რევოლიუციონური უმცირესობა რევოლიუციის სახსნელათ მიმართავდა.

თუ რევოლიუციონური მთავრობა ქედს მოიხრის დემოკრატიის წინაშე, მაშინაც კი, როცა უკანასკნელი მისი წინააღმდეგია. თუ ის დემოკრატიული რეჟიმის დაცვას უმაღლეს კანონათ გამოაცხადებს, მაშინ ის ერთგვარ პირობებში, მასის რეაქციონურათ გახურებილების დროს, იძულებული გახდება დროებით რეაქციას დაუთმოს ადგილი, —მაგრამ უკანასკნელს წინ შეხვდება

სამშაბათს, 3 აპრილს (ახალ. სტ.)

## სახაზინო თეატრში გამართული იქნება
# დიდი საღამო
## წითელ გვარდიელთა ოჯახების სასარგებლოდ,

რომელთაც თავი თვისი დასდეს რევოლიუციური მოვალეობის აღსრულების დროს. მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ძალები ოპერის, რუსული დრამის, ქართული, სომხური და სხვა.

დ წვრილებით იქნება გამოცხადებული.

პასუხისმგებელი გამგე აღმასრ. კომ. ბიუროს რწმუნებული ალ. წუწუნავა.

შეურყეველი დემოკრატიული ბაზისი, რომელსაც ის უნდა შეუთანხმდეს და რომელიც რევოლიუციონერებს შეძლებას აძლევს ხალხის სულს დაეპატრონოს და ამგვარათ გზას გაუკაფავს ახალ რევოლიუციონურ აღტყინებას.

ამგვარათ, პროლეტარიატის მისწრაფება დიქტატურისადმი არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს დროებითაც კი დემოკრატიულ უფლებათა და თავისუფლების უარყოფას.

IV.

პირველათ პროლეტარიატის დიქტატურის იდეია მართლაც წინააღმდეგობაში იყო დემოკრატიის იდეიასთან. უკანასკნელი გულისხმობს ხალხის ფართე მასის ინტერესების დაცვას სახელმწიფო პოლიტიკის საქმეში. დასავლეთ ევროპაში ეს წინასწარი პირობები დიდხანს არ იყო, თითქმის მე-19-ტე საუკუნეშიაც კი მთელი პოლიტიკური ცხოვრება თავს იყრიდა სატახტო ქალაქებში, მთავრობის საცხოვრებელ ადგილებში. იქვე ხალხის მასაც ღებულობდა მონაწილეობას სახელმწიფოებრივ პოლიტიკაში, იქ პროლეტარიატმაც იწყო თავის პოლიტიკური გავლენის მოხდენა ცხოვრებაზე.

ეს მით უფრო სამართლიანი იყო ცენტრალისტურ საფრანგეთისთვის, გიგანტიურ პარიზით, რომელიც წარმოადგენდა განსაკუთრებულ თავისებურ ქვეყანას. პარიზი ბატონობდა საფრანგეთზე. ყველაზე უწინ პროლეტარიატს უნდა ესწრაფა პარიზის დაპყრობისაკენ. მაგრამ პროლეტარულ მოძრაობის დაწყების წინ სატახტო ქალაქის პროლეტარიატი მეტის-მეტად მოუმზადებელი იყო იმისთვის, რომ ხელში აეღო სახელმწიფოს მმართველობა. მისი ოცნება მდგომარეობდა მხოლოდ იმაში, რომ დაეპყრო სახელმწიფოებრივ ძლიერების იარაღები და მერმე გადაეცა ის რევოლიუციონურ ორგანიზაციების ხელში კი არა, თუ კი საჭირო იქნებოდა ერთი კაცის ხელშიაც კი, რომლებიც შემდეგ, როგორც დიქტატორები განახორციელებდა სოციალურ რევოლიუციას.

ასე, მაგალითად, ვეიტლინგი, თავის „гарантiяхъ гармонiи и свободы“-ში ელოდა მძლავრ რევოლიუციიდან დიქტატორის დანიშვნას.

„ის იქნება მეორე მესია, კიდევ უფრო დიდი, ვინემ პირველი... ის სავსებით დაანგრევს დახავსებულ შენობას ძველ საზოგადოებრივ ურთიერთობისას, დასძირავს [illegible] ყველა წყაროებს კაცობრიობის ცრემლებისას და გარდაქმნის მიწას სამოთხეთ... მაგრამ იმ ძალას, რომელსაც იმას მისცემენ, ის მანამ არ გააგდებს ხელიდან, სანამ არ იქნება შესრულებული ეს გაბედული საქმე“.

ნაკლებ უტოპიურათ ქონდათ წარმოდგენილი საქმე ბლანკისტებს, მაგრამ ისინიც მიისწრაფოდენ დიქტატურისაკენ თუ არა ერთი კაცის, უმცირესობის მაინც.

მარქსი და ენგელსი პირველ ხანებში ბლანკიზმის ძლიერ გავლენის ქვეშ იყვნენ, თუმცა თავიდანვე ისინი ბლანკიზმს კრიტიკულათ ეპყრობოდენ. პროლეტარიატის დიქტატურა, რომლისაკენაც ისინი მიისწრაფოდენ, მათ ადრინდელ ნაწარმოებში კიდევ მრავალ ბლანკისტურ ხაზებს მიეცა გზა. მაგრამ რამდენათაც ისინი უკვირდებოდენ საზოგადოებრივ განვითარების მსვლელობას, იმდენათ მათთვის ნათელი ხდებოდა, რომ პროლეტარული რევოლიუცია არ შეიძლება იყოს უმცირესობის საქმე. ენგელსი ამაზე [illegible]

პყრათ პოლიტიკური მართველობა და კიდეც შეინარჩუნოთ. ამის წინასწარი პირობები ყოველგან და ყოველ დროს არ არის ცხოვრების ზედაპირზე, მაგრამ ისინი არიან ჩქარ აღმოცენების პროცესში. ერთ ასეთ წინასწარ პირობათ ითვლება მცხოვრებთა მასსის პროლეტარიზაცია. პროლეტარიზაცია იქმნება კაპიტალისტური განვითარებით ჩვენს დაუხმარებლად, მაგრამ ეს კიდევ არ არის ყველაფერი.

აუცილებელია ამას გარდა მეორე წინასწარი პირობა: პროლეტარიატს საჭიროა ქონდეს ბრძოლის უნარი და განსაზღვრული სიმაღლე ორგანიზაციულ შეკავშირების, ქონდეს ინტელიგენტობა, შეგნება თავის ძალის. ეს უკანასკნელი მეორე წინასწარი პირობა თავს იჩენს კლასობრივ ბრძოლიდან იმდენათ ჩქარა, რამდენათ ინტენსიურათ სწარმოებს თვით ბრძოლა. რევოლიუციონურ დროში მას შეუძლია პირდაპირ ნახტომებით გაიზარდოს.

როცა რევოლიუციას პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა უკავშირდება, ეს უკანასკნელი ამაღლდება, მას იდეალური შინაარსი მიეცემა და მასთან ერთად რევოლიუციაც აღარ იქნება შეთქმულების კლუბი. ის პროლეტარული მასის ყოველდღიურ შრომისა და ბრძოლის საბოლოო შედეგათ გადაიქცევა უკეთესი მომავლის მოსაპოვებლათ.

მარქსიზმი არის გაერთიანება მუშათა მოძრაობისა და სოციალიზმის, რეფორმებისა და რევოლიუციის. ამითვე ის უჩვენებს პროლეტარიატის დიქტატურისა და დემოკრატიის შერიგების გზას. როგორც ერთი, ისე მეორე თანამედროვე განვითარებულ სახელმწიფოში ნიშნავს კლასობრივათ გათვითცნობიერებულ მასის გაბატონებას ექსპლოატატორების უმცირესობაზე.

**როცა დემოკრატიული რევოლიუცია ეკონომიურათ ჩამორჩენილ ქვეყანაში ხდება**, სადაც ხალხის უმრავლესობის დიქტატურისთვის არაა მომზადებული პირობები, მაშინ პროლეტარიატის დიქტატურის იდეამ ადგილი უნდა დაუთმოს დემოკრატიის იდეას; ამ შემთხვევაში **პროლეტარიატმა თავისი თავი მშრომელთა მასის ერთ წევრათ უნდა ჩასთვალოს, რომელსაც არა მარტო დაქირავებული მუშები ეკუთვნიან, არამედ ყველა, ვინც თავის შრომით სცხოვრობს, — მაშასადამე წვრილი გლეხობაც.**

ქალაქის მრეწველობის დარგის პროლეტარიატს ამ შემთხვევაშიც შეუძლია ხელმძღვანელი პოზიცია დაიკავოს: როგორც ყველაზე უფრო გაბედულ, განვითარებულმა და საუკეთესოთ შეკავშირებულმა. პროლეტარიატი ის კლასია, რომელსაც მომავალი მოელის, მომავალი ეკუთვნის. ის შექმნის დიად იდეათა პარტიას, რომელნიც მას რევოლიუციონური ენტუზიაზმით აავსებს და გაამრავლებს მის ძალებს იქ, სადაც პროლეტარიატის დიქტატურისთვის ჯერ აწმყო ნზათ არაა.

კარლ კაუცკი.

ბერლინი, 3 იანვარი 1918 წ.

## გმირების ხსოვნას

სანწი იყვენ. ჯერ კიდევ 1905 წლამდე შეუერთდენ ხალხს და მას შემდეგ ერთხელაც არ უღალატნიათ მისთვის.

გიორგი მაჩაბელი ბრწყინვალე წოდების წარმომადგენელი, მდიდარი და შეძლებული მემამულე იყო. სანდრო კეცხოველიც თუმცა გლეხი, მაგრამ გლეხის პირობაზე შეძლებულ ოჯახის პატრონი იყო. როგორც გიორგის, ისე სანდროს [illegible]

[illegible]

ხსოვნა კოსტა ყაზიევისა, რომელსაც საკმაო მომზადება არ ქონდა, მაგრამ მაინც შეგნებულათ ატარებდა რევოლიუციის დროშას.

ოსი ყაზიევის მაგალითმა მაინც უნდა ჩააჩუმოს ის პროვოკატორები, რომელნიც ცხინვალის ამბებით ცდილობენ ოსები და ქართველები ერთმანეთს მიუსიონ.

ქ.

## კავკასიის ფრონტი

(ოფიციალური ცნობა)

22 მარტი.

შავი ზღვის პირად სროლაა.

სარიყამიშის მიმართულებით 20 მარტს საღამოთი ოსმალებმა შემოტევა დაიწყეს და ჩვენი მოწინავე რაზმები შეავიწროვს სოფ. გერაშკინში, ზაკიმში, ჩერბუკში, კიზილ-კილისში. ეს სოფლები ბარდუსის რაიონშია.

21 მარტს ოსმალები განაგრძობდენ შემოტევას.

23 მარტი.

შავი ზღვის პირად 22 მარტს დილით ოსმალები მოზრდილი ძალით, რომელსაც თან ჰქონდა ზარბაზნები, მაკრიალში მდგომ ჩვენს მოწინავე რაზმზე იერიშით მოვიდენ.

ოსმალთა შემოტევას დახმარება გაუწიეს ჩვენი რაზმის „ზურგში“ მყოფმა მცხოვრებლებმა: მათ ჩვენს რაზმს „ზურგიდან“ სროლა აუტეხეს.

მაკრიალის ჩვენმა რაზმმა მდ. ჭოროხისკენ დაიხია.

აჭარის წყალის მიმართულებით სოფ. კვედი-ხარტვისთან მტერი საგრძნობი ძალით მოაწვა ჩვენს რაზმს. ჩვენმა რაზმმა მდ. აჭარის წყლისკენ დაიხია.

ამ რაიონში, ჭოროხის მარცხენა ნაპირზე, აჭარლები გამოჩნდენ „პარომით“. ისინი ცდილობდენ აქ „პარომის“ მოწყობას. პრაპ. ურუშაძის მეთაურობით ღამით ჩვენი რაზმის რამდენიმე მოხალისეებმა გასცურეს მდინარეში და იერიშით მივიდენ აჭარლებზე. აჭარლები იძულებული გახდენ „პარომი“ დაეტოვებიათ, რომელიც ჩვენებმა ჩვენს ნაპირზე მოაყვნეს.

ჩვენი გამანადგურებელი („ისტრებიტელი“) ნავები გაგზავნილი იყო ზღვის ნაპირის გასწვრივ. მაკრიალის ახლოს მდებარე მაღლობებს, სადაც მტრის რაზმებია გამაგრებული, ყუმბარები ესროლეს. ჩვენმა ჰაეროპლანებმა კი ყუმბარები ჩაყარეს მტრის ბანაკში—მაკრიალში, აბისლახაში და ხოპაში. გამოირკვა, რომ მტრისთვის ჰაეროპლანებს ზარალი მიუყენებია.

სარაყამიშის მიმართულებით მტრის მოზრდილ ძალასთან ბრძოლის შემდეგ, ჩვენი ჯარის ნაწილებმა 22 მარტს საღამოთი დაიხიეს სარაყამიშისაკენ, ღამით კი 22 მარტს მტერი იერიშით, მოვიდა როგორც ფრონტიდან, ისე მარჯვენა ფრთიდან და ჯარის ჩვენმა ნაწილებმა ახალ-სელიმისაკენ დაიხიეს.

შავი ზღვის პირათ აჭარის წყალთან მდგომმა ქართული პოლკის ჯარის ნაწილმა სოფ. ქვედა ხერტვისის სამხრეთ დასავლეთით მდებარე მე-290 სიმაღლიდან „ჩეტნიკების“ რაზმი გარეკა და ეს სიმაღლე დაიკავეს. ხელთ იგდეს თოფები, ტყვიები და ხელით სასროლი ყუმბარები.

ჩაქვის ფრონტზე აჭარლები შეეცადენ იერიშით მოსვლას, მაგრამ ჩვენებმა ზარბაზნების სროლით ისინი გარეკეს.

სხვა ფრონტებიდან ცნობები არ მოსულა.

(კერძო ცნობა).

სად. სარაყამიშის რაზმის პრაპორშჩიკ კესაიანცის ცნობით, რომელიც გუშინ, 24 მარტს მოვიდა თფილისში, სარაყამიში უბრძოლველათ დაუტოვებიათ ოსმალებისთვის. ოსმალები 23 მარტს შესულან ქალაქში.

ოსმალების ოფიციალურ წყაროები- [illegible]

## უკანასკნელი ამბები

[illegible]

ისევ გამართავენ ამის შესახებ. განზრახული იყო ხუთშაბათს დაგვესაფლავებია, მაგრამ ამის შესახებ კიდევ უნდა მოვილაპარაკოთ. მოკლულთა გვამები ისე საშინლათაა დასახიჩრებული, რომ მათი დიდხანს გაჩერება შეუძლებელია. არჯევანიძე ცოცხალია, აქ იყო გორში და ისევ ცხინვალისკენ წავიდა. რუხაძეც ცოცხალია. თუ დახმარება საჭირო იქნა, შეგატყობინებთ.

გორიდან 24 მარტს დილის 10 საათზე შემდეგი ცნობა მოვიდა:

23 მარტს საღამოს 6 საათზე ცხინვალის ახლოს სოფ. თამარშენთან მოგვიკლეს 5 ამხანაგი, დაგვიჭრეს 3. მოწინააღმდეგების ბრბოები მთებისაკენ გარბიან, მათ ფეხდაფეხ მისდევს ჩვენი რაზმი პოლკოვნიკ კონიაშვილის და ვალ. ჯუღელის მეთაურობით. მოწინააღმდეგეთაგან ბევრია მოკლული და დაჭრილი. ჩვენს ტყვეებს ანთავისუფლებენ. ზოგიერთი ტყვეები ბრბოებს თან მიჰყავთ. საღამოს 6 საათზე მოასვენეს მოკლული ამხანაგები—მაჩაბელი, კეცხოველი და სხვა, გვარდიელები. დახოცილთა გვამები ისეა დასახიჩრებული, რომ ცნობა ძნელია. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს. დღეს დილით 9 ს. 30 წ. თფილისიდან მოფრინდა აეროპლანი.

სად. აჯიკაბულიდან 22 მარტს ვალ. გოგუაძე დეპეშით იტყობინება: „თქვენი განკარგულების თანახმათ დღის 3 საათზე აჯიკაბულიდან ბალაჯარისკენ წავედი. მივედი სად. დუვანოიზე. აქ ჩვენ შემოგვხვდა ლტოლვილნი მოსამსახურენი თავიანთი ოჯახებით. თავი მოვუყარე მათ წარმომადგენლებს და წინადადება მივეცი წასულიყვენ აჯიკაბულში, ხოლო მოსამსახურეები დარჩენილიყვენ თავ-თავიანთ ადგილებზე ჩვენი დაცვის ქვეშ. მე და მილიციის უფროსი გუგუშვილი, სეიმის სამშვიდობო დელეგაციის თავმჯდომარე ჰაიდაროვის წინადადებით წავედით აჯიკაბულში, თითქოს დარღვეულ წესიერების აღსადგენათ. ალბათ ჰაიდაროვს სწორე ცნობა ვერ მიაწოდეს, რადგან აჯიკაბულში მისვლისას იქ სრული სიწყნარე იყო.

ეხლა სამშვიდობო დელეგაციის მატარებლის წინ მივდივარ. ეიბარტსა ბალაჯარის შუა ორთქლმავალი ლიანდაგიდან გადავარდა. ზომები მივიღეთ ამოსაღებათ“.

## ქურნალ-გაზეთებიდან

**სამარცხვინო ზავი და ყოფილი ბალშევიკი რიაზანოვი.**

„ნოვაია ჟიზნ“-ი სწერს:

„ეს ზავი ყოველგვარ საშუალებას მოგვისპობს,—ვერ დავიცავთ ვერც რევოლიუციას, ვერც პეტროგრადს.

რა ნაირია ზავის პირობები?

რუსეთი უნდა გამოემშვიდობოს არა თუ ნახშირს, პურს, შაქარს, არამედ—აგრეთვე ადამიანთა ძალ-ღონესაც.

საზავო ხელშეკრულობის დამტკიცების შემდეგ რუსეთი იმ სახის დარჩება, როგორიც ის ამ 300 წლის წინეთ იყო.

იაპონელებს მოკავშირეებთან ერთად აზრათ აქვთ ციმბირის მოზრდილი ნაწილი ხელში ჩაიგდონ.

ამის შემდეგ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული დეკლარაცია მშრომელთა უფლებების შესახებ დარჩება ქაღალდის ნაგლეჯათ.

ეხება რა სახალხო კომისართა მოსკოვში გადასვლას, რიაზანოვი ამბობს:

— ჯერ კიდევ კერენსკის მთავრობა მიისწრაფოდა მოსკოვში სატახტო ქალაქის გადატანისაკენ, მაგრამ ბალშევიკების პარტია ამის წინააღმდეგი იყო.

პეტროგრადის აგრე უგეგმოთ დაცლა, სატახტო ქალაქის მოსკოვში ასე უთავბოლოთ გადატანა, პეტროგრადს სრულიად დაასამარებს.

მრეწველობის, პოლიტიკური და რევოლიუციონური ცხოვრების ცენტრი ინგრევა.

600 ათასი გამოცდილი მუშა, რევოლიუციის მშვენიერება და იმედი, უმუშევრობის წინაშე სდგას და ეს რევოლიუციონური ჯარი რუსეთის გლეხთა და ჯარისკაცთა მასსაში გაითქვიფება სოფლად.

პეტროგრადის მუშებისთვის რომ აშკარათ ეთქვათ ის, თუ რა მოელის მათ, არა გვგონია, პეტროგრადის საბჭოს ზავის სასარგებლოთ ხმა ამოეღო“.

## სანდრო კეცხოველი და გიორგი მაჩაბელი

კიდევ მსხვერპლნი!

ჩვენს მოწინავე რაზმს გამოაკლდა საუკეთესო მებრძოლნი. მოჰკლეს, დახვრიტეს... სამუდამოთ გამოგვტაცეს ისინი, რომლებმაც მთელი თავისი სიცოცხლე ხალხს ანაცვალეს; მოჰკლეს ისინი, ვისაც ყოველთვის ხალხისთვის უძგერდათ გული.

სანდრო კეცხოველი!.. ვინ არ იცნობდა მას, ძველ რევოლიუციონერს, გულწრფელს, თავდადებულს პარტიულ მუშაკს. ყველას, ვინც კი ციხეში მჯდარა, ვისაც უგემნია ციმბირი, კატორღა ბორკილები,—კარგათ ახსოვს სანდრო, მუდამ წარბ-შეუხრელი, ჭირში მეგობარი, ყველასათვის დამხმარე და რჩევა-დარიგების და იმედების მიმცემი, მაშინაც კი, როცა მას ბორკილების რახრა-რუხით ისტუმრებდენ ერთი ციხიდან მეორეში. სანდრო იყო, რომელმაც თავის ძმა ლადოსთან ერთათ აღმართა ჩვენი, სოციალ-დემოკრატიული დროშა ყველაზე უფრო ჩამორჩენილ გორის მაზრის გლეხებში და წყვდიადით მოცულ არეში სინათლის სხივი შეჰქონდა; ეს ის იყო, რომელმაც სოფლის ჩაგრულნი, გვემულ ნაწამებნი დარაზმა და რევოლიუციონურ დროშის ქვეშ და თვითონ, როგორც მათი წინამძღოლი მათთან ერთათ მიეშურებოდა წინ, მიჰქონდა რა წამების ჯვარი მედგრათ, შეუდრეკლათ გოლგოთას მთაზე. და ამისათვის იგი აწამეს: ციხე, ციმბირი, კატორღა.. და ისევ ციხე, კატორღა, ბორკილები...

მარა მან აიტანა სულ ყველა ეს. და როცა ხალხმა დაამსხვრია ეს ბორკილები სანდროს,—ეხლა არა ახალგაზრდას, არამედ მოხუცს, გაჭაღარავებულს, მარა ახალგაზრდული სულით გაეღენთილს, რევოლიუციის გამარჯვებით აღფრთოვანებულს—კვლავ იქ ვხედავთ, სადაც მან თავისი სიჭაბუკე გაატარა; იმათ შორის ტრიალებს, ვისთვისაც თავს დაადგეს წამების გვირგვინი. მათ ულოცავს გამარჯვებას, მათ ევლება თავს, მათ აყენებს სწორ გზაზე და კვლავ მათთან იზიარებს ჭირსა და ლხინს. და... გადაუხადეს... ასეთი ამაგისათვის, ტყვია მისთავაზეს... მათ არ დაინდვეს მოხუცი რევოლიუციონერი, ისინი ვერ შეაკრთო მისმა ჭაღარამ და... დახვრიტეს.

**გიორგი მაჩაბელი** განუყრელი მეგობარი-ამხანაგი იყო სანდროსი. ისინი ერთათ ეწეოდენ საერთო ჰაპანს. საერთო საქმისთვის ერთნაირათ უძგერდათ გული, ერთნაირი თავგამოდებით იცავდენ გლეხებს და ყველა ჩაგრულთ სანდრო აზრით მებრძოლი იყო, იგი მუდამ მქუხარე, თვისი მგრძნობიარე სიტყვებით არღვევდა წყვდიადს და ულვიძებდა ხალხს გულში წმინდა აზრს ძმობა-ერთობა-სიყვარულისას. გიორგი კი აზრთან ერთად, როგორც ნამდვილი ვაჟკაცი, იარაღით ხელში იცავდა ჩვენს დროშას. ვის არ ახსოვს 1904—1905 წ.წ. ქართლში შავი რაზმი რომ დაარსდა განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. გიორგიმ, წინააღმდეგ ამ შავი რაზმისა, წითელი რაზმი შეადგინა და გაშმაგებით ებრძოდა შავ ძალებს. მან პირველმა ჩაუყარა საძირკველი რევოლიუციურ წითელი რაზმის დაარსების იდეიას და რამდენათაც შესაძლებელი იყო მაშინ განახორციელა კიდეც ცხოვრებაში. სანამ თვითონ უდგა რაზმს სათავეში, რაზმი მტკიცეთ იცავდა რევოლიუციას.

უარყო რა გიორგიმ თვისი წოდებრივი და სხ. უპირატესობანი,—მან ზურგი შეაქცია მჩაგვრელებს და ჩაგრულ გლეხკაცობას ამოუდგა გვერდში. მან თავისი მამული გლეხებს დაურიგა. ამ მამულით უმთავრესათ იმ გლეხებმა ისარგებლეს, რომლებიც ამ ბოლო დროს მას მტრათ მოევლინა.

ძველმა მთავრობამ, რა თქმა უნდა, არ დაინდო გიორგი. 1906 წ. იგი შეიპყრეს და კარგა ხნით მეტეხის ციხეში მიუჩინეს ბინა. მარა ციხემ ვერ შეაკრთო მებრძოლი; განმათავისუფლებელი მოძრაობის დამარცხებამ ვერ შესცვალა იგი და ბოლომდის ერთგულად ემსახურებოდა სახალხო საქმეს, მუდამ დარაჯათ ედგა ხალხს. რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე იგი ყოველთვის მეტად საპასუხისმგებლო და საძნელო საქმეებს უდგა სათავეში. იყო გორის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს, მაზრის აღმასრულებელ კომიტეტის, სოციალდემოკრატიულ კომიტეტის და სხ. თავმჯდომარეთ და მაზრის კომისრათ. ყოველგვარ საქმეს ჩინებულათ ასრულებდა. მას ამისთვის საკმაო ცოდნა და ენერგიაც შესწევდა. მარა უგუნურებმა აღარც იგი დაინდვეს. თითქო აქაც მეგობრობა გაუწია სანდროსო,—სანდროსთან ერთად ისიც გულგანგმირული დაეცა მამაც და გმირულ ბრძოლის შემდეგ. მოჰკლეს სწორეთ იმ გლეხებმა, რომელთათვის გიორგი არაფერს არ იშურებდა. მათმა მურტალმა, სისხლში გასვრილმა ხელებმა სამუდამოთ დაადუმა გმირის, ლომივით ვაჟკაცის ბაგენი. იგლოვეთ გორის მაზრის გლეხებო! აღარა გყავთ თქვენი სანდრო, გიორგი... მშვიდობით ჩემო გულითადო მეგობრებო! მიიღეთ უკანასკნელი მშვიდობით ჩემგან, თქვენ უმცროს ამხანაგისაგან, რომელმაც თქვენთან ერთად ვიგემე პირველი დღეები რევოლიუციისა, ხალხის გამარჯვების დღესასწაული. მაპატიეთ, რომ განსაცდელის წუთს თქვენთან ვერ დავრჩი... „თქვენსა დალეწულ ძვლებიდან აღსდგება შურისმაძიებელი“.

ვანო ქარცივაძე.

## ახალი ამბები

**დღეს ათ საათზე დანიშნულია ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის რ. ს. დ. მ. პ. კრება ბიუროს ბინაზე. სთხოვენ ყველა წევრებს აუცილებლად დაესწრონ.**

— **მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრში,** 23 მარტს ამხ. ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით შესდგა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის სხდომა. მოხსენებები გააკეთეს: ზვონარიოვმა (ჩრდილოეთ კავკასიის ამბების შესახებ), უსტინოვმა (თაჭის რაზმის მოქმედების შესახებ) და ირაკლი წერეთელმა (ამიერ კავკასიის პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ). სხდომის ანგარიშს შემდეგ ნომერში დავბეჭდავთ.

— **სახადი.** ამ ბოლო დროს ქალაქში ძლიერ გავრცელდა სახადი. ლაზარეთში № 40 ამ ჟამად 148 სახადიანი ავადმყოფი წევს.

— **საქართველოს ეროვნულ საბჭოს** სახალხო განათლების სექციამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა მან 31,000 მანეთით დახმარება გაუწიოს წინამძღვარიანთ სამეურნეო სასწავლებელს.

— **ცეცხლი.** 23 მარტს, ღამის 2 საათზე, ბაგ. არზუმანოვის შენობას (სერგეევის და სოლოლაკის ქუჩ. კუთ.) გაუჩნდა ცეცხლი. სახლი გუშინდლამდე იწოდა. ამ შენობაში მოთავსებული იყო „კავკასიის საურთიერთო დამხმარე საზოგადოება“ „სალამანდრის საზოგადოება“ „ორიზონის“ რედაქცია და სხვა დაწესებულებები. 23 მარტს ცეცხლი გაუჩნდა ოლღის ქუჩაზე მელიქ-აზარიანცის სახლს.

— **ქალაქის საფინანსო კომისიამ** გადასწყვიტა წყალს ფასი მოუმატოს. 10 ვედრო წყალი ეღირება 3 კაპ. კომისია წარუდგენს საბჭოს მოხსენებას ამის შესახებ.

— **აფერისტების შეპყრობა.** მეცხრე უბნის უფროს მილიციონერებმა ლ. ძამოევმა და გოზალოვმა შეიპყრეს ერთი ჯგუფი აფერისტებისა (იორის ქუჩაზე, 22) სერ. მინასიანცი, არ. გოგელაური, ნ. ქურდოვანიძე, ფილიპე ლეონევ, მოხელე საოლქო „საინდენტანტოსი“, არ. ხაჩატურიანცი და მოწაფე პეტროსიანი. მათ აღმოაჩნდათ ყალბი ბარათები, ბეჭედი, რომლის საშუალებითაც ის ფუთამდე შაქარი გაეტაცნათ სასურსათო დუქნებიდან.

— **შეცდომის გასწორება.** ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში დაბეჭდილ წერილში „არეულობა ცხინვალის რაიონში“ შემდეგი კორექტურული შეცდომაა: „ოსებში ჯერ კიდევ ძლიერი გავლენა არ ყოფილა სტრაჟნიკების და მთავრობის მამასახლისების“ — უნდა იყოს: „ოსებში ჯერ კიდევ ძლიერია გავლენა ყოფილ სტრაჟნიკების და მთავრობის მამასახლისების“.

**კრებები და მიტინგები.**

დღეს დილის 12 საათზე მეოთხე რაიონის კლუბში, უდელნი ქუჩა № 3, გაიმართება საბავშო დილა. ი. ნაკაშიძე წაიკითხავს ლექციას. წარმოდგენილი იქნება საბავშო ოპერა „კუდიანი ვარსკვლავი“, ბავშები წაიკითხავენ ლექსებს და იმღერებენ.

— დღეს, საღამოს 5 საათზე, მეოთხე რაიონის კოლექტივი მართავს მორიგ საუბარს პარტიის წევრებთან, რაიონის კლუბის შენობაში (უდელნი ქუჩა № 3). სეიმის წევრი ამხ. რ. ჩიხლაძე, რომელიც იყო გაგზავნილი დელეგატათ აჭარაში, გააკეთებს მოხსენებას იქაურ მდგომარეობაზე. ამხანაგებს ვსთხოვთ აუცილებლათ დაესწრონ კრებას.

— დღის 4 საათზე ნაძალადევის თეატრში გაიმართება პირველი რაიონის რ. ს. დ. მ. პარტიის ქალთა კრება. მოხსენებას გააკეთებს ამხ. მინადორა ტოროშელიძე. დასწრება არა წევრთაც შეუძლიათ.

— დღეს, საღამოს 5 საათზე ქალაქის

თვითმართველობის დარბაზში დანიშნულია კრება საბჭოს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციისა.

— სამშაბათს, 27 მარტს, დანიშნულია პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს კრება ყველა პროფესიონალურ კავშირების გამგეობებთან ერთათ. განსახილველია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები, ამიტომ დაბეჯითებით სთხოვენ ყველა კავშირების გამგეობათა წევრებს აუცილებლათ დაესწრან კრებას.

— დღეს, 25 მარტს სახელოსნო კლუბში (მიხაილოვის ქუჩა) გაიმართება ლითონზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის წევრთა საზოგადო კრება.

# პატარა ფელეტონი

## ჩვენი ფრონტი

(ოფიციალური ცნობა).

პარასკევს, 23 მარტს, მხოლოდ ფედერალისტების ფრთა ემზადებოდა ჩვენზე იერიშების მოსატანად.

ხელთ ჩაგვივარდა „მტრის“ შტაბის ფურცელი, „სახალხო საქმე“-თ წოდებული, სადაც მოპირდაპირის ოპერატიული „სვოდკაა“ მოთავსებული.

„მტრის“ შტაბის ფურცელი, როგორც საზოგადოთ სჩვევიათ ომიანობის დროს, საზოგადოებრივ აზრს ამზადებს თავის სასარგებლოთ, რომ ჩვენს ერთგულ და მამაც ჯარში სახელი გაგვიტეხოს ◎ ჯარის კაცთა დეზერტირობას ხელი შეუწყოს...

პირველად ყოვლისა „მტერი“ ჩვენ ბრალად გვდებს ბეგებთან კავშირის დაჭერა, რა თქმა უნდა, ხალხის საზარალოთ.

ჩვენ უნდა ვყავდეთ სახეში, როცა „სახალხო საქმე“ სწერს: „სამაჰმადიანო საქართველოში ჩვენ უკვე ჩავიდინეთ ერთი შეცდომა. რევოლიუციის დროს მათ (ბეგებს) ბრძოლა კი არ გამოვუცხადეთ, კომისარების ადგილი მივეცით. ზოგიერთი უღირსი პირი სეიმშიაც გავიყვანეთ ეროვნულ მოსაზრებათა გამო“.

ამ დღეს ჩვენი ძალების დაზვერვაში თუ შეტევაში „მტრის“ თითქმის ყველა „გენერლებს“ მიუღია მონაწილეობა.

**არ. ჯაჯანაშვილს**, ეცნობა რა საქმის ვითარებას, ამ გვარი დასკვნა გამოჰყავს:

„მალე ამიერ-კავკასიაში ისეთი ამბები დატრიალდება, რომ სისხლში შთაინთქება თავისუფლებაც, დემოკრატიაც, რევოლიუციაც და ქართველი ერიც, როგორც ერი. დაე მაშინ პასუხისმგებლობა კისრად დააწვეს იმას, ვინც დღემდისაც ანგარიშს არ უწევდა ამ საკითხს, არ უწევს ანგარიშს დღესაც, როდესაც საქართველო იმლება და ყოველის მხრიდან იჯიჯგნება...

**თედო ღლონტს** თურმე ამოდ მოჰყავდა თავის წიგნიდან—„ავტონომია და ფედერაცია“-დან ცნობები.

„ეს ელემენტარული მცნებები ვერ შეუთვისებიათ ჩვენში სამინისტრო და საპრემიერო მოღვაწეებს და ტყუილ უბრალოდ გვაკარგვინებენ დროსო“.

**ვახტანგ კოტეტაშვილს** ასე შეუსწავლია ჩვენი შინაარსი:

„როგორც ბალშევიზმი, ისე მენშევიზმი წინააღმდეგობათა ჰურჭელი არ არის? მხოლოდ ამ ორ ფრთას შორის ის გარჩევაა, რომ მენშევიკები თეორიის თავდახურულ ქვევრში იხრჩობიან, ბალშევიკები კი ამ ქვევრს სარქველს ჰხდიან და უშვებენ სალ ნაკადს, ცხოვრების ახალ ძალას“.

ასე გვახასიათებენ „გენერლები“, ამ გვარ ცნობებს აწვდიან ჩვენს შესახებ ისინი თავიანთ შტაბს.

ამ დღეს (23 მარტს) იმავე „სახალხო საქმე“-ს გადმოცემით ჩვენდა დასაზვერად გამოგზავნილი ჯარისკაცებიც თავგამოდებით მუშაობდენ.

ერთი ამ ჯარისკაცთაგანი მუშა **ფარმაცევტი** შტაბს მოახსენებს:

„ის (ესე იგი, ჩვენ) აქ ღალატობს ქვეყანას და ამისთვის ისტორია მას სამარცხვინო ბოძზე გააკრავს. რა არის, თუ არ ღალატი ის, რომ მაშინ, როდესაც საჭიროა ბრძოლისათვის მზადება, როდესაც მთელი ჩვენი ყურადღება სამშობლოს საზღვრებისაკენ უნდა იყოს მიქცეული, ეს პარტია კავშირს ჰკრავს ისეთ ჯგუფთან, რომელიც აშკარათ ხელს უშლის მას ამ წმინდა საქმის შესრულებაში“-ო.

ამ მზვერავს, როგორც მისი მოხსენებიდან სჩანს, ჩვენს ჯარში აღმოუჩენია მუსულმანთა პარტიის „მუსავატის“ ჯარების ნაწილები.

მეორე მზვერავის **გ. მუშიშვილის** მოხსენების, თანახმად,

„სამშობლო და რევოლიუცია შავ უფსკრულის პირთან იმყოფება. მდგომარეობა ერთობ უნუგეშოა. ვისი ბრალია? ჩვენ ბევრჯერ გავატარეთ კრიტიკის ქარცეცხლში მენშევიკების დამღუპველი პოლიტიკა, მაგრამ არ იქნა! ისტორია შესაფერს მსჯავრს დასდებს მენშევიკებს“-ო.

ჭეშმარიტებათ აღიარებული აზრია, რომ თუ გინდა „მტერს“ აჯობო, სხვათა შორის, უნდა იცოდე რა აზრისაა ის შენს შესახებ, როგორ შეუსწავლიხარ მას შენ...

სხვა მხრით ცვლილება არ მომხდარა.

საზოგადოთ, ფედერალისტების ფრთას გუშინ, როგორც ჩვენმა მზვერავებმა გამოარკვიეს, მოუსვენრობა ეტყობოდა. ალბათ, ჩვენზე იერიშის მოსატანათ ემზადებოდა.

ისე კი, მთელი დღე კანტი-კუნტი „სროლა“ იყო...

ზოგიერთ ალაგას ჩვენი სანგრების მიმართულებით საწამლავი გაზებიც გამოუშვეს, მაგრამ ჩვენმა „არტილერიამ“ „მტრის“ ბრბოები გარეკა.

როგორც შევნიშნეთ, სახრჩოლავი გაზის გამოშვების დროს თვით ჩვენი „მტრის“ ერთ ჯარისკაცს წაუვიდა გული...

ფრონტის სხვა ადგილებიდან გუშინ მოხსენებები არ მოსულა.

## თავდაცვა გარეშე მტრისაგან

**ჩაქვი.** 17 მარტს შესდგა ადგილობრივ მაჰმადიანთა კრება ილია ელიაძის ინიციატორობით. კრებაზე უნდა გამორკვეულიყო, თუ რა შეხედულების არიან ადგილობრივი მაჰმადიანები აჭარლების გამოსვლაზე.

პირველათ დამსწრეთ ილ. ელიაძემ მიმართა. შემდეგ ვალოდია გოგუაძემ (ჯავშნიანი მატარებლის უფროსი). მან სთქვა, რომ საქმის ამრევ-დამრევ მოთავეებს არ შეუძლია მოქმედება ისე, თუ ადგილობრივი მცხოვრებლები ხელს არ უწყობდენო. მე, ამბობს ის, ცამეტ წელს არალეგალურათ ვცხოვრობდი, მთავრობა სასტიკათ მდევნიდა, ბევრ ჯილდოს გაიღებდა, ვინც ჩემს თავს დაჭერილს მიუყვანდა, მაგრამ ხალხი მინახავდა და მთავრობა თავის მიზანს ვერ აღწევდა. ჩვენ კი საერთოთ პასუხს თქვენ გთხოვთ და თქვენ თუ ვინმე ისეთები გყავთ, გვაცნობეთ და მათთან გვექნება საქმეო. ძველ რეჟიმში მთავრობა მამასახლისებათ და სტრაჟნიკებათ თათრებს გვიყენებდა და ისინი ხალხს აწიოკებდენ. ჩვენ საერთოთ გული ყველა თათრებზე არ გვტკიოდა, რადგან ისინი გამონაკლისი იყვნენ. კრებიდან სიტყვა წარმოსთქვა ბასილაძე ოსმანმა და ბეკირ აბუსერიძემ. ჩვენ დღეს სათქმელი არაფერი გვაქვს, რათა დამნაშავეთ გვთვლიან ქართველები. მართალია ჩვენს ჰირსა და ლხინში მუდამ ქართველები გვედგა მხარში და ეხლა აჭარლების წყალობით დაგვაშორეს, მაგრამ ჩვენ მაინც მალე დავამტკიცებთ, რომ ქართველებთან გვექნება საქმე და არა ბეგების მონა მორჩილებთან. ჩვენ პირი მაინც წყლით გვაქვს სავსე, ეს ასე ხდება „როცა ორი კამეჩი წაეკიდება, შუაში ფური იჭყლიტება“, ჩვენც ასეთივე გვემართება ჩაქვის მცხოვრებლებსო. ჩვენ ავირჩევთ კომისიას ყველა კუთხიდან და თუ ვინმე ისეთები არიან, რომ აჭარლებთან მონაწილეობას ღებულობენ, მათ სიას წარმოგიდგენთო.

კომისია აირჩიეს ცამეტი კაცისაგან შემდგარი.

ივაკი გიორგაძე.

---

**ბათუმი.** ყოველ დღე მოდიან რაზმები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ბათუმში. თანდათან იკრიბება ჭეშმარიტათ რევოლიუციონური ჯარი. ყველაზე მეტს ამ მხრით ისევ ძველათვე თავისუფლებისათვის ბრძოლაში ნაცადი და გამობრძმედილი გურია იძლევა.

18 მარტს ღამით ჩამოვიდა გურული მოხალისეთა ერთი რაზმი. დიდი უმეტესობა რაზმისა ძველი ჯარისკაცები არიან, ბრძოლის ქურაში გამოწრთობილნი. ესენი თავიანთი იარაღით არიან. ყველანი თითქმის მოხალისენია. აქა-იქ რაზმში ჭაღარასაც შეხვდებით. არიან 50 წლისანი და მეტიც. მეორე დღეს რაზმმა მწყობრათ, რევოლიუციონურის ◎ გურული სიმღერებით, დროშებით ჩამოიარა ქალაქი და აზიზიეს მოედანზე წარუდგა ამიერ-კავკასიის მთავრობის თავმჯდომარეს სამხედრო მინისტრს ევგ. გეგეჭკორს. ყველას სახეზე აღფრთოვანებას და მტკიცე გადაწყვეტილებას წაიკითხავთ. თქვენ გრძნობთ, რომ ეს ხალხი ან გაიმარჯვებს და ან დაიხოცება თავისუფლებისა და სამშობლოს დასაცავათ ბრძოლაში. უკან კი არ დაიხევს.

„ამხანაგებო! მიიღეთ გულწრფელი სალამი ამიერ-კავკასიის მთავრობისაგან!“—დაიწყო ამხ. ევგ. გეგეჭკორმა: „გურიის ხალხი, მკვირცხლი, გაბედული და თავდადებული მებრძოლი თავისუფლებისათვის ბრძოლაში, პირველია დღეს სამშობლოს დაცვაშიაც. თქვენ 1905 წ. მთელს კაცობრიობას დაუმტკიცეთ, თუ როგორ უნდა მოპოებულ თავისუფლებისათვის ბრძოლა. დღეს უმტკიცებთ, თუ როგორ უნდა მოპოებულ თავისუფლებას და სამშობლოს დაცვა. გრწამდეთ, რომ დემოკრატია მუდამ იყო, არის და იქნება ომის წინააღმდეგი. მაგრამ არის კლასი, რომელიც დღეს განაგებს კაცობრიობის ბედს და რომელიც იწვევს საზარელ ომებს. ჩვენ დღეს ომს არ ვაწარმოებთ, არამედ—ვიცავთ იმ თავისუფლებას, რომელიც სისხლითა და ბრძოლით მოგვიპოვებია. ჩვენ ვიცავთ ამ წმინდა დროშას (ორატორს რაზმის წითელი დროშა უჭირავს ხელში), რომელიც ჩვენის და ჩვენი ძმების სისხლშია მოსვრილი. მე მრწამს, თქვენ ეს დროშა კვლავ ისე მაღლა გეჭირებათ ხელში, როგორც დღემდე; მრწამს, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებთ და შეიტანთ ამ დროშას იმ წმინდა სამეფოში, რომელსიც სოციალიზმს ვუწოდებთ. ჩვენც თქვენთან ვიქნებით ამ უმაგალითო ბრძოლის დროს. ბევრი ტანჯვა-წვალება მოგველის ამ ბრძოლაში. ბევრი უბედურება გადაგვხდება თავს. მაგრამ დარწმუნებული, რომ სამკაცობრიო იდეალებისთვის ვიბრძვით,— ან დავიხოცებით, ან გავიმარჯვებთ. ახალს უღელს მონობისას კი არ დავიდგამთ. გაუმარჯოს რევოლიუციონურ გურიას! გაუმარჯოს ერთა სოლიდარობას! გაუმარჯოს სოციალიზმს!“

ამის შემდეგ მან ჯარს გააცნო გენ. გაბაშვილი, ქართული კორპუსის უფროსი და ციხის უფროსი გენერალი მდივანი.

„აი ესენი არიან თქვენი წინამძღოლნი ომში. გრწამდეთ, რომ ესენი იქნებიან თავის მოქმედებაში პასუხის მგებელნი როგორც ჩვენს აგრეთვე თქვენს წინაშეც.

თქვენ კი მიუბრუნდა გენერლებს— გაბარებთ ამ ხალხს, უწინამძღვრეთ მათ და მიეცით საშუალება პირნათლად მოიხადონ თავისი ვალი. მათ თავიანთი ერთსულოვანის გამოსვლით უკვე მოიხადეს ვალი. ახლა თქვენი რიგია, რომ შესაფერი წინამძღოლობა გაუწიოთ“.

ამის შემდეგ ჯარს გამოემშვიდობა. ჯარმა აღფრთოვანებულის „ვაშა“ თი გააცილა საყვარელი ბელადი დემოკრატიისა. ჯარს მიესალმა აგრეთვე გენ. გაბაშვილი. მან მოკლე სიტყვით გაამხნევა ჯარი, აუწერა ის მოვალეობა, რომელიც მათ რევოლიუციამ დააკისრა.

„მომყევით მე დავუმტკიცოთ მტერს, რომ ჩვენში კვლავ სჩქეფს ძველი მამაპაპური სისხლი და რომ ჩვენ არავის მივცემთ უფლებას დაანგრიონ ჩვენი კერაო“, დაათავა მოხუცმა მებრძოლმა.

ჯმუხა.

## ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულობა

3 მარტის თარიღით ბრესტ-ლიტოვსკიდან მიღებული ცნობის თანახმად საზავო ხელშეკრულობას ხელი მოაწერეს რუსეთმა, გერმანიამ, ავსტრო-უნგრეთმა, ბოლგარიამ და ოსმალეთმა.

1. გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, ბულგარეთი და ოსმალეთი ერთის მხრივ და რუსეთი მეორე მხრივ ერთი ერთმანეთს შორის ომს სწყვეტენ. მათ შემდეგში მშვიდობიანი ცხოვრება აქვთ განზრახული.

2. თითოეული მხარე მოვალეა შესწყვიტოს ყოველი აგიტაცია ანდა პროპაგანდა მეორე მხრის სახელმწიფოებრივ წყობილების წინააღმდეგ მიმართული. ეს მოვალეობა, რამდენადაც იგი შეეხება რუსეთს, ძალაში რჩება ოთხთა კავშირის ჯარების მიერ დაპყრობილ ადგილებში.

3. ის ოლქები, რომლებიც მდებარეობენ ორივე მხრის მიერ მიღებულ ხაზის დასავლეთით და რომლებიც აქამდე რუსეთს ეკუთვნოდენ, არ დარჩებიან რუსეთის უმაღლეს მთავრობის ქვეშ.

ამ ხელშეკრულების თანახმად ორივ მხრის შეთანხმებით მიღებული ხაზი იქნება ბუნებრივ საზღვრათ.

**შენიშვნა.** ამ ხაზს დაადგენს საგანგებო კომისია, რომელშიაც შევლენ როგორც რუსები, ისე გერმანელები. ხსენებულ ხაზის დასავლეთით მდებარე ოლქები, თუმც რუსეთს ეკუთვნოდენ, მაგრამ ეს გარემოება არაფერს ავალებს ამ ოლქებს რუსეთის წინაშე. რუსეთი უარს აცხადებს ამ ოლქების შინაურ ცხოვრებაში ჩარევაზე. გერმანეთს და ავსტრია-უნგრეთს განზრახული აქვთ ამ ოლქების მომავალი ბედი გადასწყვიტონ მცხოვრებლებთან შეთანხმებით.

4. გერმანეთი მზათაა, როდესაც დამყარდება საყოველთაო ზავი და რუსის ჯარის დემობილიზაცია განხორციელდება, გაწმინდოს ის ოლქები, რომლებიც მდებარეობენ იმ ხაზის აღმოსავლეთით, რომელიც ნაჩვენებია მე-3-ე მუხლის პირველ პუნქტში, რამდენადაც იგი არ ეწინააღმდეგება მე-6 მუხლს.

რუსეთი შეასრულებს ყოველივე მას, რაც მასზეა დამოკიდებული, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ანატოლიის აღმოსავლეთ პროვინციების სასწრაფოდ გაწმენდა და ოსმალეთისთვის კანონიერის გზით დაბრუნება.

არტაანის, ყარსის და ბათუმის ოლქები ასევე დაუყოვნებლივ უნდა განიწმინდოს რუსის ჯარისაგან. რუსეთი არ ჩაერევა ამ ოლქების სახელმწიფო საერთაშორისო უფლებრივ დამოკიდებულებაში, არამედ ანდობს ახალ წყობილების დამყარებას თვით მცხოვრებლებს, რომელნიც ახალ წყობილებას დაამყარებენ მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი, ოსმალეთთან შეთანხმებით.

5. რუსეთმა დაუყოვნებლივ უნდა დაშალოს თავისი ჯარები. ამ ჯარებთან ერთად უნდა დაიშალოს აგრეთვე ახალი მთავრობის მიერ შედგენილი ჯარები.

თავის სამხედრო გემებს იგი გაიწვევს რუსეთის ნავთ სადგურებში, სადაც გემები საყოველთაო ზავის დამყარებამდე დარჩებიან, ან ამ გემებს იარაღი უნდა აეყაროს. ასევე უნდა მოიქცენ ოთხთა კავშირთან მებრძოლ სახელმწიფოების გემები. ყინულიან ოკეანეს ნეიტრალური ნაწილი ნეიტრალადვე დარჩება საყოველთაო ზავის დამყარებამდე. ბალტიის და აგრეთვე შავი ზღვის რუს. სამფლობელო ადგილები უნდა გაიწმინდოს ნაღმებისაგან. ამ ზღვებზე დაუყოვნებლივ უნდა აღდგეს—თავისუფალი სავაჭრო ნაოსნობა. ურყევ დადგენილებათა შესამუშავებლათ, კერძოთ კი ნაოსნობის უშიშროებისათვის შესდგება საგანგებო კომისიები. ზღვები მცურავ ნაღმებისაგან უნდა გაიწმინდოს.

6. რუსეთი მოვალეა დაუყონებლივ შეეკრას ზავით უკრაინის სახალხო რესპუბლიკას და ხელი მოაწეროს საზავო ხელშეკრულებას მის და ოთხთა კავშირის სახელმწიფოთა შორის დადებულ ხელშეკრულებაზე. უკრაინის ტერიტორია უნდა განიწმინდოს დაუყოვნებლივ როგორც რუს ჯარებისაგან, ისე წითელ გვარდიელთაგან. რუსეთი სწყვეტს უკრაინის მთავრობის და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართულ აგიტაციას.

რუსებმა ჯარები და წითელ გვარდიელები უნდა გაიყვანონ აგრეთვე ესტლიანდიიდან და ლიფლიანდიიდან საერთოდ ლიფლიანდიის აღმოსავლეთი საზღვრები ტარდება პსკოვის ტბაზე მის სამხრეთ დასავლეთის კუთხეებზე. ქვემოდ ლუბინის ტბისკენ პიდინგოფის მიმართულებით. ლიფლიანდიაში და ესტლიანდიაში შემოღებულ იქნება გერმანეთის საპოლიციო მთავრობა მანამდე, სანამ აღდგენილ არ იქნება საზოგადოებრივი თავდაცვის უზრუნველყოფა და წესიერება, რუსეთი დაუყოვნებლივ ანთავისუფლებს ესტლიანდიიდან დაჭერილთ და წამოყვანილთ. უნდა მოეწყოს ისე, რომ დაუბრკოლებლივ შეეძლოთ მათ უკან დაბრუნება.

7 დაუყონებლივ გაწმენდილ უნდა იქნას რუსის ჯარებისა და წითელ გვარდიელებისაგან ალანდის კუნძულები და ფინლიანდია, ხოლო ფინლიანდიის ნავთსადგურები განთავისუფლებულ უნდა იქნეს რუსეთის ფლოტიდან. მაგრამ რადგანაც ჯერჯერობით ზღვა გაყინულია და შეუძლებელია რუსების გემების გამოყვანა, ამ გემებზე მოხსნიან მთელს კომანდის შემადგენლობას და სტოვებენ მის მეტად მცირე ნაწილს.

რუსეთი ხელს იღებს ყოველგვარს აგიტაციაზე ფინლიანდიის მთავრობისა და მის საზოგადო დაწესებულებათა წინააღმდეგ; ალანდიის კუნძულების სიმაგრენი შეძლების დაგვარათ დაუყოვნებლივ უნდა გაუქმებულ იქნენ. ამ კუნძულების გამაგრების აღკრძალვა ანდა დაუყოვნებლივ მის ციხეების გადაკეთება, აგრეთვე ზღვაოსნობის საკითხი უნდა გადაწყვეტილი იქნეს საგანგებო შეთანხმებით გერმანიასა, რუსეთსა, ფინლიანდიასა და შვეციას შორის. საჭიროა, რომ საკითხის გარკვევაში მონაწილეობა მიაღებინონ ბალტიის ნაპირებთან ახლო მყოფ სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებსაც.

8. ორთავე მხარის სამხედრო ტყვეები სამშობლოში ბრუნდებიან. ამ საკითხის საგანგებო შემუშავება და გარკვევა უნდა მოხდეს მე 8 მუხლის მიხედვით.

9. ორთავე მხარე უარს ამბობს სამხედრო გასავალის ურთიერთ ანაზღაურებაზე, ე. ი. ისეთი ხარჯების ანაზღაურებაზე, რაიც სახელმწიფოებს მოუვიდათ ომის საწარმოებლათ, აგრეთვე სამხედრო ზარალის ანაზღაურებაზე ე. ი. ისეთ ზარალზე, რომელიც სახელმწიფოებს და მათ ქვეშევრდომებს მოუვიდათ იმ ოლქებში, სადაც სამხედრო მოქმედება სწარმოებდა. ამაში შედის აგრეთვე მტრის ტერიტორიაზე მომხდარი ყოველგვარი რეკვიზიციები.

10. დიპლომატიური და საელჩო დამოკიდებულებანი განხილულ უნდა იქნეს ხელშეკრულობაზე ხელის მოწერისთანავე. საეკონომიო დამოკიდებულებაში ოთხთა კავშირისა და რუსეთის შორის შემდეგი დადგენილებით უნდა ხელმძღვანელობდენ: მე-2 მუხლი ეხება გერმანეთ-რუსეთის დამოკიდებულებას, მე-3 მუხლი ავსტრია-ჰუნგრეთის და რუსეთის დამოკიდებულებას, მე 4 მუხლი—ბულგარეთ-რუსეთისას, მე 5 მუხლი—ოსმალეთ-რუსეთისას. მე-7 მუხლს უნდა დაერთოს, რომ ხელშეკრულებაზე ხელმოწერილი სახელმწიფონი ვალდებულად სთვლიან თავს სპარსეთი და ავღანისტანი დამოუკიდებელ სახელმწიფოებათ აღიარონ და დაიცვან მისი პოლიტიკური, საწარმოვო და ტერიტორიული დამოუკიდებლობა.

11. საზოგადოებრივ და კერძო უფლებათა ურთიერთობის აღდგენა, სამხედრო ტყვეების გაცვლა, ამნისტიის და ომში დაჭერილ გემების საკითხი არსებით ნაწილს შეადგენს დღეს შეკრულ ზავისას.

12. გერმანიის და რუსეთის ურთიერთობისათვის უნდა იხელმძღვანელონ რუს-გერმანულ ტექსტით, ბულგარეთის და რუსეთისათვის—ბულგარულ-რუსულით, ოსმალეთის და რუსეთისთვის —ოსმალურ რუსულ ტექსტით.

13. რატიფიკაციული (დამტკიცებული) საბუთები ერთმანეთს უნდა ბერლინში ჩააბარონ, რაც შეიძლება დაჩქარებით.

რუსის მთავრობა ვალდებულია, გაცვალოს რატიფიკაციული საბუთები ორი კვირის განმავლობაში. საზავო ხელშეკრულობა ძალაში შედის რატიფიკაციის შემდეგ, რამდენადაც ის არ ეწინააღმდეგება ცალკე მუხლებს, შენიშვნებს და დამატებითი პირობებს.

რაც შეეხება უფლებათა და ეკონომიურ მუხლებს, **ძალაში შედის 1904 წელს რუსეთ-გერმანეთის შორის დადებული სავაჭრო ხელშეკრულობა.** მსოფლიო ომმა მოითხოვა ზოგიერთ მუხლების შეცვლა, რომელიც არ აკმაყოფილებს გერმანიის ინტერესებს; ახლა რუსეთში მყარდება პირდაპირი დამოუკიდებლობა სპარსეთ-ავღანისტანთან და თავისუფალი ტრანზიტი. 1925 წლამდე რუსეთს არ შეუძლია მოუმატოს ბაჟს დასახადი. ტარიფი ამ ვადამდე რჩება უცვლელათ.

რუსეთმა უნდა აანაზღაუროს ყველა ის ზარალი, რაც მან მიაყენა გერმანიის დიპლომატებს და კონსულებს აგრეთვე გერმანულ დაწესებულებებს. ახლდება ძველი ხელშეკრულება. გერმანელებს რუსეთში უნდა ჰქონდეთ თავისი უფლებანი, რომელიც ომის კანონებმა დასთურგნა. რატიფიკაციის შემდეგ ახლდება ყოველნაირი საქმის ურთიერთობა რუსულ და გერმანულ კრედიტებისა. შეძლებისამებრ ახლო მომავალში გადახდილ უნდა იქნას ხარჯი, რომლის ვადა უკვე გასულია.

რაც შეეხება სარევოლიუციო კანონების მიერ მიყენებულ გერმანელთა ზარალის ანაზღაურების მოვალეობა პრინციპით მიღება. ამის შესახებ შეთანხმება შემდეგაც შეიძლება ლიკვიდაციის და სეკვესტრის საგანგებო გადაწყვეტილება ორივე მხრით შემუშავებულია.

სამხედრო ტყვეების გაცვლა ევალება შერეულ კომისიას. საგანგებო გერმანული კომისია იზრუნებს რუსეთიდან დაბრუნებულ ტყვეებისთვის: სამხედრო ტყვეების შენახვის ხარჯი ანაზღაურდება. უზრუნველყოფილი იქნება გარდაცვლილთა დამარხვის საქმეც. გერმანელ მოახალშენეებს უნდა აუნაზღაურონ ზარალი და თავისუფალი გზა მისცენ სამშობლოსაკენ.

რაც შეეხება ამნისტიას, თვითოეულს მხარეს შეუძლია მიანიჭოს ამნისტია თავის ქვეშევრდომთ, რომელთაც ომიანობის კანონი დაარღვიეს. ასევე ტყვეებს და სხ. რუსებისგან დაცლილ ოლქებში ამნისტია მიენიჭებათ ზოგიერთ სამხედრო პოლიტიკურ დამნაშავობისთვის. ამასთანავე სამხედრო თვალსაზრისით დაცულ უნდა იქნას გერმანიის ინტერესები. ომში დაჭერილ გემების და აღკრძალულ საქონლის საქმე გაირჩევა შერეულ კოაისიისაგან, რომელსაც ნეიტრალური პირი თავმჯდომარეობს. ორივე მხარე მოვალეა აღადგინოს ძველი ორგანიზაციები შლინბერჰენში, რომელიც დარღვეულ იქნა ომის დროს გერმანიის წინადადებისთან შეთანხმებით“.

## ფოთის ავ-კარგი

კოოპერატივი „ეკონომია“.

ფოთის ფართე საზოგადოებისა და, სამწუხაროთ, მუშათა წრეებისათვისაც შეუმჩნევლად ჩაიარა ადგილობრივ კოოპერატივის „ეკონომიის“ წევრთა წლიურმა საზოგადო კრებამ, რომელიც შესდგა გასული თვის 25 ს.

რამდენათ გულგრილათ ეპყრობა აქაური დემოკრატიული მასსა კოოპერატივის საქმეს, ეს, სხვათა შორის, იქიდგანაც სჩანს, რომ გამგეობამ მესამეხელ დანიშნულ კრებაზედ ძლივს შეკრიბა წევრთა მცირე რიცხვი.

ჩვენ არ გვიკვირს, რომ შეძლებული კლასი გულგრილათ უყურებს კოოპერატივულ საქმეს, რადგან კოოპერაცია არ აძლევს მას ნებას თავისუფლათ ავარჯიშოს დღეს საშინლათ განვითარებული მასში სპეკულიატიური „საქმიანობა“. გვიკვირს, რომ კოოპერაციის მეგობარი, დემოკრატია, ადგილობრივათ ცივათ უცქერის კოოპერატივს და ეს მაშინ, როდესაც გაძლიერებულია და თან და თან იზრდება კოოპერატივის გავლენა, გამოწვეული ეკონომიური და ფინანსიური დაქვეითებით.

ეს გულგრილობა ფაქტია და, როგორც ასეთი, დიდი დანაშაულია მუშათა მოძრაობის წინაშე, რომლის ერთ დარგთაგანს შეადგენს კოოპერაცია. გულგრილობა იმაში კი არ გამოიხატება, თითქოს კოოპერატივს ნაკლებათ ჰყვდეს წევრები ან და ნაკლებათ ვაჭრობდენ ისინი. პირიქით, წევრებიც საკმაოთაა, ნავაჭრიც და მოსავლიც ბევრია, მხოლოდ საქმე იმაშია, რომ წევრები არ ეპყრობიან კოოპერატიულ საქმეს ყურადღებით, კრებას არ ესწრებიან და ყველაფერი გამგეობის ანაბარა მიუტოვებიათ.

როგორც ყველგან, კოოპერატიულ საქმეშიც საჭიროა ფხიზელი კონტროლი, მუდმივი და ენერგიული, და ეს დააყენებს კოოპერატივს მტკიცე ნიადაგზე.

არ უნდა დაივიწყოს ფოთის დემოკრატიამ, რომ კოოპერატივი მასსის თვითმოქმედების სავარჯიშო ასპარეზია.

მტკიცე ნიადაგი კოოპერატივმა აქ, როგორც ყველგან, მოიპოვა ომის დროს. ის თანდათან გაძლიერდა და მას მოეპოვება განყოფილებები სხვადასხვა რაიონებში—კუნძულზედ და ნახუტურში. გამგეობას, როგორც კრებაზე გაკეთებულ ანგარიშიდან გამოირკვა, მეტათ ცუდ პირობებში უმუშავნია: მას არ ჰყოლია გამოცდილი მთავარი ნოქარი, მას არ ჰყოლია გამოცდილი ბუხგალტერი და თვითონ გამგეობის წევრები მორიგეობით აწარმოებდენ ანგარიშებს. მოხსენებიდანვე გამოირკვა, რომ ძველი ქალაქის თვითმმართველობა მფარველობის მაგიერ მტრულათ უცქერდა კოოპერატივს და პოლიციასთან ერთად ავიწროებდა მას ყოველი მხრით.

მიუხედავათ საქონლის უქონლობისა, მიუხედავათ მისვლა-მოსვლისა და ტრანსპორტის სრული დეზორგანიზაციისა, კოოპერატივი ფოთში გაიზარდა, გამაგრდა. მიუხედავათ იმისა, რომ ბუჰგალტერის და გამოცდილ ნოქრის დაქირავება და შოვნა შეუძლებელი გახდა, საქმე არ დაბნეულა, პირიქით, გაფართოვდა და განმტკიცდა.

სასნგარიშო წლის განმავლობაში „ეკონომიას“ გაუყიდია 485.903 მ. საქონელი; ჩააბარა ახალ გამგეობას 66 911 მ. საქონელი; მან კი ჩაიბარა გასულ წელს მხოლოდ 7370 მ. საქონელი.

საქონლის საერთო მოგება უდრის 67.353 მ., წმინდა მოგება კი 34 099 მ.

საერთოდ გამგეობა იგებდა საქონელზედ არა უმეტეს 15 პროც. წლის დაწყებისას საზოგადოებას ჰყავდა 911 წევრი, წლის განმავლობაში მომატა 458; სულ საზოგადოებაში ამ ჟამათ ირიცხება 1370 წევრი.

მოსაგები საზოგადო კრებამ განაწილა ასე: მოსამსახურეთა დასაჯილდოვებლათ თვენახევრის ჯამაგირი თითოს —სულ 1878 მ., ღარიბ წევრთა საქმოთ 1000 მ., ღარიბ წევრთა შვილების (უმთავრესათ სამოქალაქო პირველდაწყებით სასწავლებელში)—500 მ., დანარჩენი ფული გადავიდა სათადარიგო თანხაში. მოყვანილ მოკლე ანგარიშიდან სჩანს, რომ ადგილობრივი კოოპერატივი წარმოადგენს ძლიერ ეკონომიურ ძალას და თვალსაჩინო გავლენას ახდენს ადგილობრივათ აღებ-მიცემობის სფეროში. რამდენათ ძლიერია ხალხის ნდობა კოოპერატივისადმი ეს სხვათა შორის, იქიდანაც სჩანს, რომ თვალსაჩინო მოგება კოოპერატივს დარჩა სულ 10—15 პროცენტისაგან.

კოოპერატივის სრული დახასიათებისათვის საჭირო იყო ცნობები, თუ რამდენი ივაჭრა თვითონ წევრებმა და რამდენი გარეშეებმა და რა საქონელი უფრო მეტი გასაღდა, როგორია შემადგენლობა თვითონ კოოპერატივის და სხვ. მხოლოდ ასეთი ცნობების შემდეგ შეგვეძლებოდა ჩვენ გაგვერკვია, საითკენ მიიწევს „ეკონომიის“ განვითარება, უახლოვდება ის წმინდა მუშურ კოოპერატივების ტიპს, თუ შორდება? მაგრამ ამ ჟამათ ხელთ არ მომეპოვება ეს მასალები.

„ეკონომია“ ბევრს აკეთებს სხვადასხვა კულტურული დაწესებულებებისათვის. ის ეხმარება აღნიშნულ დაწესებულებებს მატერიალურათ. ეს კარგი საქმეა, მაგრამ მარტო ეს არ კმარა. აქ უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ჩვენ კოოპერატივს საგანმანათლებლო დარგში არ აქვს სისტემა, რომ მან დამოუკიდებლათ აწარმოვოს სწავლა-განათლების საქმე, დამოუკიდებლათ ემსახუროს კულტურას. გამგეობა, როგორც ვფიქრობ, უფრო ტრადიციებს ემყარებოდა, როდესაც მან მოგების განაწილების პროექტი წარმოადგინა, ვიდრე სისტემატიურათ შემუშავებულ გეგმას. როგორც ვიცით, კოოპერატივი მარტო და უმეტესათ ფულის მოგების წყარო არ არის, ჩვენ მთელი ჩვენი ძალღონით უნდა ვებრძოლოთ კოოპერატივის იდეის გაზრწნას, კოოპერატივის დუქნათ გადაქცევით და ვეცადოთ კოოპერატივის გარშემო ავაყვავოთ მთელი რიგი კულტურული დაწესებულებებისა. მე არ მინდა ამით ვსთქვა, ვითომ ფოთის კოოპერატივი „ლავოჩკათ“ გადაქცეულიყოს, მხოლოდ მინდა გამგეობის და, უმთავრესათ, საზოგადოების ყურადღება კულტურულ საქმიანობისკენ მივმართო. რასაკვირველია, რაციონალურათ დაყენებული მეურნეობა, ვაჭრობა კოოპერატივის ზრუნვის პირველი საგანია მატერიალური საშუალების შესაკრებათ, მაგრამ მატერიალური სარგებელი, რომელიც საზოგადოებისაგან იკრიბება, მასვე უნდა დაუბრუნდეს სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების სახით. ამიტომ ჩვენ სრულიათ ბუნებრივათ და აუცილებლა-

თაც მიგვაჩნია ის მოვლენა, რომ საზღვარ-გარეთ განვითარებულ კოოპერატივებს გარს არტყია მჭიდრო რკალი კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებებისა და აგრე გვინდა ჩვენშიაც მოხდეს.

ამისთვის კი არ კმარა მარტო ფულის გადადება კოოპერატივისაგან, საჭიროა თითონ კოოპერატივის ინიციატივა და კულტურული საქმიანობის გაძლიერება. კოოპერატივთან აუცილებლათ უნდა არსებობდეს კულტურულ-განმანათლებელი განყოფილება და მისი ხელმძღვანელი თვითონ საზოგადოება უნდა იქნეს მისი გამგეობის სახით.

მე არ ვიცი გასული წლის განმავლობაში თუ ერთი ლექცია ან საუბარი კოოპერაციის შესახებ ან სხვა რამე თემაზედ გაემართოს საზოგადოებას. ეს კი ფრიად საყურადღებო საქმეა: კოოპერაციის შესახებ ლექციების კითხვა დიდათ შეუწყობდა ხელს კოოპერატივის გაფართოვებას.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კოოპერატივის ზრდას წინ ეღობება ათასნაირი დაბრკოლებები, რომელთაგან ბევრი უკვე გადალახა საზოგადოებამ. „ეკონომია" ს აქვს განყოფილება დიდ კუნძულზე, სადაც მუშები ბლომათ სცხოვრობენ. კარგი ხნიდან ისმოდა საყვედური ამ განყოფილებისა და განყოფილ. გამო მთავარ გამგეობის წინააღმდეგ. საყვედური იმით იყო გამოწვეული, რომ განყოფილება ვერ აკმაყოფილებს წევრების მოთხოვნილებას, მთავარი გამგეობა ამას ყურადღებას არ აქცევსო და სხვ. საზოგადო კრების მოწვევა ამ დროს შეუძლებელი გახდა. ზოგიერთ წევრებმა კუნძულზე განიზრახეს საკუთარი კოოპერატივის დაარსება და კიდევაც აისრულეს წადილი: შეაგროვეს ფული, გახსნეს კოოპერატივი „ლამპარი", რომელიც დღეს დამოუკიდებლათ მოქმედობს და ერთგვარ მეტოქეობას უწევს „ეკონომიის" განყოფილებას. ამ არა-სასურველ მდგომარეობას მიაქცია ყურადღება საზოგადო კრებამ და დაადგინა: „მიეცეს წინადადება კოოპერატივ „ლამპარის" საზოგადოებას შეუერთდეს „ეკონომიის" საზოგადოებას იმ პირობით, რომ მან („ლამპარმა") გამოგზავნოს გამგეობაში თავის მიერ არჩეული ორი წევრი. ჩვენ იმედი გვაქვს „ლამპარი" ადრე შეუერთდება „ეკონომიას", როგორც ახალი განყოფილება და ამით კოოპერაციის საქმე კიდევ უფრო გაძლიერდება. უკანასკნელ ხანებში კოოპერატივის გამგეობის ყურადღებას იპყრობს საქონლის შეძენის საკითხი. ახლო-მახლო რაიონებში საჭირო სურსათი არ არის, ფულის გადაგზავნა რუსეთში, რომ იქ შეიძინონ, შეუძლებელი ხდება როგორც კაცის ხელით, ისე ფოსტით. ამიტომ გამგეობა იძულებული შეიქნა დასდგომოდა ასეთ გზას: რუსეთში ის გაგზავნის იქ საჭირო საქონელს და მის ნაცვლათ მიიღებს იქიდან სამაგიეროს. პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა: 700,000 ფ. შეშა გაიგზავნა მარიუპოლში და იქიდან უნდა ველოდეთ სანოვაგეს. გამგეობამ 12 მარტის სხდომაზე დაადგინა გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი ჩრდილო კავკასიისა და შავისა და აზოვის ზღვის ნაპირებში საქონლის შესაძენათ. რომ საქონლის გადაცვლის საქმე ჩრდილო კავკასიასთან და სამხრეთ რუსეთთან უფრო ფართეთ და რეგულიარულათ სწარმოებდეს, გამგეობამ გაგზავნა თავისი კაცი თფილისში სასურსათო სამინისტროში, რომ იქ გამონახონ ზომები ამ საქმის მოსაგვარებლათ.

ახალ გამგეობაში ყველა ძველები ხელახლათ აირჩიეს: ლ. ტუღუში, ვლ. ჯაფარიძე, ის. ლომთათიძე, ალ. მდივანი, ს. მანწკავა, ს. ხოშტარია და ვანო თალაკვაძე. კანდიდატები: ვ. ქადეიშვილი, ემ. ნოდია, ივ. კვაჭაძე, გ. დოლიძე. სარევიზიო კომისიაში აირჩიეს: ს. გოგიბერიძე, ელ. გოგავა და ალ. თოხაძე.

ლ. კილურაძე.

## სოც.-დემ. პარტიაში

ფოთი. 13 მარტს მოხდა ფოთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის კომიტეტის კრება, უბნების მდივნების და მოწინავე ამხანაგების დასწრებით. თავმჯდომა ლ. კილურაძე კითხულობს ელექტრონის სადგურის მუშათა თხოვნას, სადაც ისინი თხოულობენ, რომ კომიტეტმა წინადადება მისცეს ქალაქის საბჭოს ს.-დ. ფრაქციას, მხარი დაუჭიროს ელექტრონის სადგურის მუშათა თხოვნას ჯამაგირების მომატების შესახებ. ელექტრონის სადგურის მუშათა წარმომადგენლის კრებაზე დაკითხვის დროს გამოირკვა, რომ ისინი ძალიან ცოტას ღებულობენ შედარებით (130—190 მან.). კრებამ ერთხმათ დაადგინა: მიეცეს წინადადება ქალაქის საბჭოს ს.-დემოკ. ფრაქციას, მხარი დაუჭიროს ამ მოთხოვნილებას.

პარტიულ მუშაობის გასაცხოველებლათ კრებამ დაადგინა: მდივნებმა თავიანთ უბნებში უნდა მოახდინონ თვეში ორჯერ უბნების საერთო კრებები, რომ ლებზედაც წაკითხულ უნდა იქმნას ლექციები და მოხსენებები მომენტის, ქალაქის თვითმართველობის, სასურსათო საქმის, მობილიზაციის და სხვა საჭირბოროტო კითხვების შესახებ; ხვალიდანვე უბნების მდივნები უნდა შეუდგენ საქმეს და მოაწყონ უბნების კრებები.

შემდეგი საკითხი არის—მობილიზაციის შესახებ. კომიტეტის წევრების მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ქალაქი დაყოფილია რამდენიმე რაიონებათ. რაიონებს საერთო კრებებზე ამოურჩევიათ მობილიზაციის მოსახდენათ რაიონული კომისიები, რომლებიც დახმარებას გაუწევენ ცენტრალურ სამობილიზაციო კომისიას, რომელიც არსებობს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან. რამდენიმე ეშელონი ახალგაზრდობისა უკვე გაგზავრებულა შესაკრებ პუნქტებში. მოხსენების შემდეგ კრებამ დაადგინა: გაწიოს ფართე აგიტაცია პარტიის სახელით პარტიის წევრთა შორის მობილიზაციის სასარგებლოთ და ენერგიული ზომებიც მიიღოს ამასთანავე.

სახალხო მილიციის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. გ. ჩიტაია. სახალხო მილიციას ფოთში უნდა ჰყავდეს რვა ინსტრუქტორი, მაგრამ ქალაქს ჯერ-ჯერობით ჰყავს სამი ინსტრუქტორი. დღემდის სახალხო მილიციაში ჩაწერილი 160 კაცი, რაც, რასაკვირველია, ცოტაა ფოთისთვის. ამიტომ უბნებმა უნდა შეადგინონ სიები სახალხო მილიციისთვის და გადასცენ ცენტრალურ კომისიას.—ამხ. ვასო ნოდია ამბობს, რომ სამობილიზაციო კომისია წესიერათ ვერ მუშაობს, ამას ყურადღება უნდა მიექცეს. ხვალვე დილის 9 საათზე უნდა მოწვეულ იქნას სამობილიზაციო კომისია და უფრო ენერგიულათ შეუდგენ საქმეს. კრებამ მიიღო ამხ. ვ. ნოდიას წინადადება. ამასთანავე უნდა მოწვეულ იქნას ექიმი სხვა ქალაქიდან გასაწვევ ახალგაზრდების შესამოწმებლათ.

ჯარისკაც იაგოლინსკის შესახებ, რომელიც პარტიის მიერ იყო გაყვანილი ხმოსნათ ქალაქის საბჭოში და რომელიც უკვე რამდენიმე თვეა, რაც რუსეთში წავიდა, კრებამ დაადგინა: მოხსნას საზოგადო მანდატი იაგოლინსკის და მისი ადგილი დაუთმოს შემდეგ კანდიდატს.

კრებამ გადასწყვიტა, გახსნას კუნძულზე მეორე პარტიული კლუბი. კუნძულში გასაგზავნ კომისიას კრებამ წინადადება მისცა, ჩქარა შეასრულოს კომიტეტის დავალება. ვ. ჩ—ის საქმის გამო არჩეულ კომისიას კრებამ დაადგინა მიეცეს ასი მანეთი.

სასურსათო კომიტეტის შესახებ კრებამ დაადგინა: მიეცეს წინადადება ქალაქის გამგეობას (რომელსაც ჩვენი ამხანაგები შეადგენენ) დაუყონებლივ ჩაიბაროს სასურსათო კომიტეტის საქმეები და მოახდინოს სრული რეორგანიზაცია სას. კ—ტის მოსამსახურეთა შემადგენლობაში. კრებამ აქვე აირჩია კომისია 3 კაცისაგან, რომელმაც უნდა დაასახელოს სანდო პირები სას. კ—ტის დათხოვნილ მოსამსახურეთა ადგილებზე.

შ. ჩ.

## პროვინცია

დაბა ონი. მოგეხსენებათ, რომ ცხოვრება სოფლადაც აირია. ისიც მოგეხსენებათ, თუ რამდენათ მოუმზადებელია ხალხი რაჭაში. დაბრუნებული ჯარისკაცები შეუგნებლათ „ბოლშევიკობენ", ამათ შეუერთდა სოფლის „ხულიგან-პროვოკატორები" და ხალხს ერთმანეთს უსისიანებენ. ერთი ასეთი „ხულიგან-პროვოკატორია" სოფ. ზვარეთში მცხოვრებელი მაქსიმე დაუშვილი. ეს ვაჟბატონი ეხლახან დაბრუნდა მოსკოვიდან, სადაც თავის ახალგაზრდა შვილთან სპირტით ვაჭრობდა. ეს თავისუფლების მოღალატე „ბოლშევიკი" დღე-მუდამ ჩასჩიჩინებს ხალხს, რომ „ჟორდანია, წერეთელი, ჩხეიძე, გეგეჭკორი და ჩხენკელი თქვენი მტრები არიან, თქვენ გაგყიდეს მდიდრებზედაო". მეტათ უმართებულოთ იხსენიებს ამ დამსახურებულ მოღვაწეებს, რომლებითაც ყოველი ქართველი უნდა ამაყობდეს. აგრეთვე უმართებულოთ იხსენიებს ს. დ. მ. პარტიას. ამასთანავე ხალხს უსისინებს ვასილ კირვალიძეზე, რადგანაც კირვალიძის ახსნა-განმარტებით ზვრეთის საზოგადოებაში ყველამ ხმა მისცა პირველ ნომერსო, კირვალიძემ უღალატა საზოგადოებას, რადგანაც პირველი ნომერი ეკუთვნოდა ხალხის მტრებს მდიდრებსო და სხვა.. შეუგნებელ გლეხობას და ჯარისკაცებს აღერებს ყველა ამაში და ვინ იცის, ასეთ პროვოკაციას რა სამწუხარო შედეგი მოჰყვება... ასეთ ვაჟბატონებს გურიაში შესაფერ პასუხს გასცემდენ, მაგრამ რაჭაში ვინ არის კაცი, რომ ამხილოს ხალხის მტრები...

კარგა ხანია საქართველოს ყველა კუთხიდან ახალგაზრდებს ეძახიან რევოლიუციის და სამშობლოს დასაცველათ. რაჭიდან „ხულიგან-პროვოკატორების" შთაგონებით არავინ არ მიდის. ნუ თუ არ ესმით ახალგაზრდობას, რომ ასეთი „ბოიკოტით" როგორც თავისუფლებას ისე სამშობლოსა ღალატობენ.

ამხ. ლევან დადიშქელიანის ვერაგულათ სიკვდილმა შეგნებულ რაჭველობაში დიდი მწუხარება გამოიწვია. ონში მრავალ რიცხოვან კრებაზე დაგმობილ იქნენ მკვლელი ავაზაკები. ზიზღი, მათს საზიზღარ მოქმედებას!

რაჭა. 18 მარტს ზვარეთის საზოგადოების სკოლაში მოხდა ხალხის ყრილობა. კრებამ ერთხმად დაადგინა, რომ შეუერთდეს ფარახეთის საზოგადოებას და სხვებს იმაში, რომ რიონზე ხიდი გააკეთონ ს. ზუდალს. ოთხი საზოგადოებისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ხსენებულ ადგილზე ხიდის გაკეთება. ვისურვებთ, რომ ეს ხალხისათვის სასარგებლო საქმე სისრულეში მოეყვანოთ დაჩქარებით არჩეულ პირებს.

იმავე კრებაზე დღევანდელ ვითარების შესახებ ილაპარაკეს ვასილ კირვალიძემ და იონა დადვაძემ. აუხსნეს ხალხს და გააგებინეს ბოლშევიკების მოღვაწეობა ზავის საკითხში და საქართველოს დღევანდელი განსაცდელი, თუ რა უბედურება მოელის ქართველ ერს იმით, რომ ბოლშევიკებმა ბათუმის, ყარსის და არდაგანის ოლქები დაუთმეს ოსმალებს. საჭიროა ქუდზე კაცი გავიდეთ და დავიცვათ ჩვენი საყვარელი სამშობლო დაღუპვისაგანო.

ხალხმა ერთხმად შეჰყვირა „წავიდეთ, წავიდეთო".

ამის შემდეგ ვასილ კირვალიძემ შემდეგი განაცხადა: „ათი თვეა, როგორც თქვენგან არჩეული, თქვენთანა ვარ. სამუშაო ახლაც ბევრია სოფელში, მაგრამ გული არ მასვენებს. მიუხედავათ ჩემი ფიზიკური სისუსტის და ხნოვანებისა თქვენ ვეღარ მოგიცდი. მე მივდივარ საერთო სამშობლო—საქართველოს და თავისუფლების დასაცავათო". ამ სიტყვებმა ხალხზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ხალხის ერთი არჩეულთაგანი.

წირძვალის საზოგადოება (ქვათურის რაიონი). 13 თებერვალს შესდგა სოფლის სამართლოს გალავანში მრავალ რიცხოვანი კრება. დღიურ წესრიგში შედიოდა სასურსათო საკითხის გარკვევა და რაიონის კომიტეტის მიერ გადმოცემული ფართლის განაწილება. მომხსენებელმა, ამხ. ბ. გაფრინდაშვილმა, შინაარსიანი წინასიტყვაობის შემდეგ, მოუწოდა კრებას ქუდის მოხდით აღენიშნათ მოგონონება ძმათა და შვილთა, რომელნიც შეეწირენ დემოკრატიის გამანადგურებელ მსოფლიო ომს. წინადადება ერთხმათ მიღებულ იყო. შემდეგ მანვე ნათლათ გააშუქა მიზეზები სურსათის მიუღებლობისა და მიუთითა კრებას უკიდურესი ზომის მიმართ, ე. ი. სურსათის რეკვიზიციისკენ. კრებამ მიიღო წინადადება და გამოიტანა რეზოლიუცია: ვიღებთ რა მხედველობაში, რომ აქ თავიდანვე ზამთრის საყოფი სარჩოც არ მოსულა, რის გამო მალე მოსალოდნელია მშიერ ხალხში საზარელი სურათები დატრიალდეს, მოეთხოვოს საგუბ. და სათანადო სასურსათო კომიტეტებს სასწრაფოთ იქნეს მიღებული ზომები სურსათის მოპოვებისათვის, დამშეულთა უზრუნველ საყოფათ, ვინაიდან რეკვიზიციით მოპოვებული სურსათი ერთი კვირის საყოფ საზრდოსაც ვერ მოგვცემს. ჩამოერთვას, დღეს დანიშნული შეიარაღებული რაზმის საშუალებით, თუ ვინმეს აღმოაჩნდეს, სურსათი ვიდრე 1 ივლისამდის საყოფ ნორმაზე ზედმეტი ზომიერი ნიხრით. ფართლის განაწილება მიენდოს ამავე რაზმს, რომელიც დაუყოვნებლივ მოახდენს თავის სხდომას, სახელმძღვანელო დირექტივების გამომუშავების მიზნით. დასასრულ კრება დასძენს: ვინაიდან სოფლად მიღებული მიცვალებულებზე ქელეხები, სავსებით ანადგურებს მშრომელთა კერას, ამისათვის აიკრძალოს ასეთების გადახდა, როგორც მავნე ჩვეულებათა ნაშთები, ხოლო დამრღვეველი ამა დადგენილებისა ოჯახი მოკლებულ იქნეს სასურსათო და კოოპერატიულ დახმარებას.

მეორე დღეს, 14 თებერვალს მოხდა, თანახმათ კრების მიერ გუშინდელი დადგენილებისა, ახლათ დანიშნული რაზმის სასწრაფო სხდომა, რომელზედაც არჩეულ იყო თავმჯდომარე; შემდეგ გამოიმუშავდა რაზმისათვის სახელმძღვანელო წესები. ფართალი განაწილდა ამ რიგათ: ჩითეულება დარიგდა სოფლობით, მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით, ხოლო სოფლად დამზადებული შალები და საკოსტიუმე ნაჭერი (სულ 5 ნაჭ.) სოფლებზევე კენჭის ყრით. დასასრულ შესდგა თვით რაზმის შემადგენლობიდან 5 პირისაგან პრეზიდიუმი, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს რაზმს, სახელმძღვანელო დირექტივების თანახმად მოქმედებაში. პრეზიდიუმი მორიგ სხდომებს მოახდენს საზოგადოების ცენტრში ყოველ კვირაობით, ვიდრე რეკვიზიცია და სურსათის განაწილება დასრულდებოდეს.

ხ. ბარათაშვილი.

ექიმი
## ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით. ავათმყოფთ ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

მარტის 20 გაიხსნა ახალი
## სამკურნალო
ყოველგვარ ავათმყოფთათვის
ექიმ. ი. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის
სავადმყოფოში არსებობს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით
მიხეილის და კიროჩნი ქუჩების კუთხე № 22. (შესასვლელი კიროჩნი ქუჩიდან) ტელეფ. 10—87. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 ს. ნაშუადღევის 3 საათამდე. ვენერიული და სიფილისის ავათმყოფების მიღება საღამოს 5—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს., კვირაობით დილის 10—12 საათამდე, ღარიბები უფასოთ მიიღება.
(24—6)

ექიმი ქალი
## რ. ბ. შიუკო-საბაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82.

ექიმი
## ვ. ვ. კლდიაშვილი
შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ღებულობს ყოველ-დღე დილის 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4, კუთხე მიხეილის პრ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში მიიღებს ყოველ-დღე დღის 1—2 საათამდე.

ექიმი
## დ. ი. ჯაფარიძე
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

## ექიმი კ. ი. მგალობლიშვილი
შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქვრივიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

## ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი
მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა.
შინაგან საბავშვო, სანერვო და საშვილოსნო სნეულებით ავადმყოფთ იღებს ყოველ-დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათამ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილით 9—10 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

## ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი
## დ. ი. ჟორდანია
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი მისი და შედეგები სისხლ ნაკლებობა. ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრაპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე). ტელ. 14—37.

რენტგენის ელექტრო-სხივებით მკურნალი კაბინეტი ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის
## გ. გ. მეგრაბიანცისა
შინაგან ავათმყოფობათა სპეციალისტი. მიიღებიან გულისა და პლევით დაავათმყოფებულნი. ყოველგვარი გამოკვლევა, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა—სხივებით. მშრალი ჰაეროვანი ვანნები, პნევმოტორაქსი, დ'არსონვალისა ტოკი და სხვა. რენტგენო-ფოტოგრაფიული გადაღება წინასწარი ჩაწერით. ავათმყოფები მიიღებიან ყოველ-დღე დილის 9 საათ.—1 საათ. და საღამოს 5 საათ.—7 საათამდე. კვირაობით კი დილის 9 საათ. მისამართი: ბებუთოვის ქ. № 23. ტელეფონი 7—92.

## ექიმი ვ. ვ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57, აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
## გ. დონხინი
ყოფილი იასსისტენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს
თვალის ტკივილებით ავადმყოფებს, დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

თუ ვინმემ იცის, რომელ ქუჩაზე სცხოვრობს ქარების ექიმი
## გაჯიაშვილი
ვსთხოვთ საჩქაროთ გვაცნობონ „ერთობის" რედაქციაში. (1—1).

სამკურნალო კაბინეთი
ექიმი ალექსანდრე დავითის ძის
## კეკელიასი
მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (606-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28

## ქართული კლუბი
კვირის 25 მარტს 1918 წ
ქართ. დრ. დასის მიერ წარ. იქნება ცნობილი ტრაგედია ფრ. შილლერისა
## ყაჩაღები
ტრ. 5 მოქ.
მონაწილეობს მთელი დასი. დასაწყისი საღ. 8 საათზე.
ბილეთები იყიდება კასაში. (1—1)

## ქართული კლუბი
კვირას 25 მარტს
## ს. ცაიშვილი
ჟურნალ „პირველ ნაბიჯის" ფონდის გასაძლიერებლად გამართავს
## დილა-მეჯლისს
I განყ. არჩ. ზურაბოვი წაიკითხავს რუსულ ენაზე ლექციას ომი და ოსმალეთი.
II განყ. ქართ. დრ. მსახ. კავშ. მიერ ვასო აბაშიძის, ელ. ჩერქეზიშვილის და შოთაძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ვალ. შალიკაშვილის ახალი შარჟი „მოქალაქის სიზმარი".
III განყ. სალიტერატურო განყ. მონაწილეობას მიიღებენ: თაგუნა, გ. ქუჩიშვილი, შალვა დადიანი, ლეო ქიაჩელი, ს. პართენაშვილი, იოსებ მუშა. ტაიფუნი დ. მეჩონგური, დ. ლიხელი, ს. ერთაწმინდელი, ვანო ბარველი, პ. ფრანგიშვილი და სხვა. დასასრულ „ვაი-ვუის" იმღერებენ ვასო აბაშიძე და ნ. გოცირიძე.
დასაწყისი დილის 11 საათზე. ბილეთები იყიდება კლუბის კასაში. (3—3)

კვირას 25 მარტს დილ. 11 საათზე ავლაბრის კლუბში (კახეთის ქ. № 5) დანიშნულია 6, 7 და 8 სამილიციო უბნის სახლის კომიტეტების წარმომარგენელთა
## საერთო კრება
განსახილველი საკითხი: პურზე ფასის მომატება. ქალაქში სასურსათო საქმის მდგომარეობის შესახებ მოხსენებას გააკეთებს ქალაქის გამგ. წევრი დ. მ. პოპოვი.
(2—2) ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება.

დღეს, 25 მარტს, დილის 10 საათზე, ხელმეორეთ დანიშნულია
## მომხმარებელი საზოგადოება „აღორძინება"-ს
## საერთო წლიური კრება
სახალხო უნივერსიტეტის შენობაში (მიხეილის ქუჩა № 91) და კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწრას. დღის წესრიგი: 1) 1917 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება, 2) ახალი წესდებისა და საზოგადოების რეორგანიზაციის პროექტის განხილვა, 3) მოსამსახურეთა საკითხი, 4) 1918 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება, 5) მიმდინარე კითხვები, 6) გამგეობისა და სარ. კომისიის არჩევნები. საზოგადოების წლიური მოკლე ანგარიში დაბეჭდილია.
ვისაც სურვილი აქვთ გაეცნოს ანგარიშს, კეთილ ინებოს და მობრძანდეს საზოგადოების კანტორაში (ვერის დაღმართი № 12) დილის 10—2 საათამდე.
(2—2) საზოგადოების გამგეობა.

მიმდინარე წლის 19 მარტს ქალაქის საბჭომ დაამტკიცა
## ტრამვაის ახალი ტარიფი,
რომელიც ძალაში შედის მ. წ. 24 მარტიდან.
ახალი ტარიფის თანახმად მიმოსვლაზე დაწესდა გადასახადი:

| | | |
|---|---|---|
| ერევნის მოედნიდან საოფლისწულო სარდაფამდის | 30 | კაპ. |
| „ „ ზემელის აფთიაქამდე | 30 | „ |
| „ „ ვორონცოვის ძეგლამდე | 30 | „ |
| „ „ კახეთის მოედნამდე | 30 | „ |
| „ „ ამაღლების ქუჩის ბოლომდე | 30 | „ |
| „ „ ოლღის ქუჩის ბოლომდე | 30 | „ |
| ზემელის აფთიაქიდან—სადგურამდე | 30 | „ |
| ვორონცოვის ძეგლიდან—სადგურამდე | 30 | „ |
| კახეთის მოედნიდან—გოსპიტლამდე | 30 | „ |
| გოსპიტლიდან—აბანოებამდე | 30 | „ |
| ვორონცოვის ძეგლიდან—„სამანის" მოედნამდე | 30 | „ |
| „სამანის" მოედნიდან—ორთაჭალამდე | 30 | „ |
| სადგურიდან—ერევნის მოედნამდე | 50 | „ |
| სადგურიდან—„სამანის" მოედნამდე | 50 | „ |
| ამაღლების ქუჩიდან—ოლღის ბოლომდე | 50 | „ |
| ამიერ-კავკასიის რკ. გზ. სამმართველოდან—დიდუბემდე | 50 | „ |
| სადგურის იქითა ლიანდაგი | 20 | „ |

მოქალაქე ჯარისკაცნი როგორც ერთი ისე ორთავე უბნის გასავლელად ვაგონის ბაქანზე მოგზაურობის დროს იხდიან 30 კაპ.
(2—2) თფილისის ქალაქის გამგეობა.

## განცხადება

ამით ცხადდება ყველა იმ მოსამსახურეების საყურადღებოთ, რომლებიც მსახურობენ თფილისის დაჭრილთა კომიტეტის ლაზარეთებში, რომ შერეულმა კომისიამ, რომელსაც დაკისრებული ქონდა მოეგვარებია საკითხი მოსამსახურეებთან ანგარიშის გასწორების შესახებ, რომელიც არჩეული იყო კომიტეტის თანამშრომელთა მიერ, მთელი მხარის მწვავე ფინანსიურ მდგომარეობის გამო, რის გამო შეუძლებელია სახელმწიფო ბანკიდან მივიღოთ ნაღდათ მთელი ხვედრი ფული, დაითანხმდა ფინანსთა კომისარის განკარგულებას გადავეიხადონ ნაღდათ 20 პროც. და 80 პროც. სახელმწიფო ბანკის შესანახი წიგნაკით, წამსვლელთათვის კი შესაძლებელია იმ თანხის გადატანა იმ ქალაქში, რომელშიდაც მოისურვებენ.

კომისიის დადგენილებით პირველ რიგში ფულს მისცემენ: სამხედრო სამსახურში გაწვეულთ, მეორე რიგში წამსვლელებს, მესამე რიგში ვინც თფილისში რჩება იმისდა მიხედვით თუ რომელი ლაზარეთი უწინ დაიხურება. რაც შეეხება საკითხს ანგარიშის გასწორებას დღემდე ჯამაგირის მიღებისა, ამის შესახებ საკითხი კავკასიის მთავარმა კომიტეტმა დადებითი გადასჭრა. დაჭრილთა კომიტეტმა შეადგინა ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც წარედგინება სეიმს დასამტკიცებლათ.

ყველა მოსამსახურე ვალდებულია მიიღოს პროფესიონალურ კავშირიდან მოწმობები იმის შესახებ, რომ ისინი უკანასკნელ დროს ნამდვილათ უადგილოთ არიან, ანდა რომელ დღიდან დაიწყეს მუშაობა. ანგარიშის გასწორება დაიწყება შაბათს, 24 მარტიდან, დაჭრილთა კომიტეტში. ცნობების მიღება შეიძლება პროფესიონალურ კავშირის კანცელარიაში, პეტრე დიდის ქუჩა, № 18, ოთახი № 11, დილის 11—1 საათამდე, გარდა კვირა დღისა.

სამკურნალო დაწესებულებათა მოსამსახურეების პროფ. კავშირის თავმჯდომარის მაგიერ ა. ლანდია.
(1—1)